საერთო გაზეთი

№27 (666)
ოთხშაბათი
3 აგვისტო, 2022წ.
ფასი 1.50 ლ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში არ არის, ბიძინა ივანიშვილი რჩება ეროვნული მასშტაბის პოლიტიკოსად

არსებობს თუ არა მეორე ისეთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილივით მთელი ქვეყნის პატრონობა ნებაყოფლობით რომ ეტვირთოს?

ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ევროპარლამენტარებმა, შესანიშნავად იციან, რომ ივანიშვილი ოლიგარქი არ არის და არც არასდროს ყოფილა.

ბიძინა ივანიშვილის წერილი და განგაში ოპოზიციის შტაბბინაში

„რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“

ნინო ჯღარკავა: ჩვენ არა ვართ უმადური ერი – ეს ჯილდო იქნება მადლიერების გამოხატულება ქართველი ხალხისგან ბიძინა ივანიშვილისადმი

ლევან მამალაძე: დღეს ევროპას და აშშ-ს უნდა დავანახოთ, რომ მონები არ ვართ

რაც ხდება დღეს საქართველოში, არის პირდაპირი გამოძახილი ივანიშვილის უარისა, საქართველოში გაჩაღებულიყო ომი

ელიზბარ ჯაველიძე: მთავარი დამნაშავე

შევარდნაძემ საქართველო მიზანმიმართულად დააქცია, ბოლოს კი ჯალათად სააკაშვილი დაგვიტოვა

მატარებელი – საქართველო-ევროპა

ჩვენი მუდმივი დილემა – სად არის ჩაცუცქული ქართული ინტელიგენცია?!

დენთის კასრზე შესმული მსოფლიო და „ცელქი ბავშვები“ ასანთით ხელში

3000 წელიწადია ჩვენ, ქართველები, შინ ვართ, ამათი „შინ“ თუ სხვაგან არის, მიბრძანდნენ“

არსებობს თუ არა მეორე ისეთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილივით მთელი ქვეყნის პატრონობა ნებაყოფლობით რომ ეტვირთოს?

ვახტანგ ხარჩილავა:

დებიძინიზაცია კი არა, ბარემ დესაქართველოიზაცია მოგვთხოვეთ

არსებობს თუ არა მსოფლიოში მეორე ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც იგივე საქმეები აქვს გაკეთებული, რაც ბიძინა ივანიშვილს?

არა, მეორე ასეთი ივანიშვილი არ არსებობს.

არსებობს თუ არა მსოფლიოში მეორე პრეცედენტი, როცა ერთი ადამიანი, ერთი მოქალაქე ვალდებულებას იღებს, დაეხმაროს მთელ სახელმწიფოს და საკუთარი ფინანსებით ცდილობს ფეხზე დააყენოს და საიმედო საყრდენად მოევლინოს?

ერთი ადამიანი, ერთი მარტოხელა კაცი ბედავს უშიშრად შეეჭიდოს ურთულეს საქვეყნო პრობლემებს და თავისი სახსრები იქითკენ მიმართოს, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირს.

თავიდან ის არსად არ ჩნდება, მას თითქმის არავინ იცნობს, ის არსებობს, როგორც უჩინარი და უხილავი კეთილი ძალა, როგორც ლეგენდა, რომელიც მილიონებს ხარჯავს, რომ სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად დასუსტებულ ქართულ სახელმწიფოს დაეხმაროს და ფეხზე წამოაყენოს.

შეიძლება ბევრს უკვე არ ახსოვს, რომ სახელმწიფოს დაფინანსება და სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი არ დაუწყია, არამედ დაიწყო მაშინ, როცა პოლიტიკაში შემოსვლაზე საერთოდ არ ფიქრობდა, უფრო მეტიც — მტკიცედ სჯეროდა, რომ მის ცხოვრებაში ეს არასოდეს არ მოხდებოდა.

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი იმიტომ კი არ ხარჯავდა ამ მილიონებს, რომ რაიმე პოლიტიკური ინტერესები და ამბიციები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ეს თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნდა.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან რომ დაიწყო, მას შემდეგ ოცდაათი წელია ივანიშვილს ეს საოცარი მასშტაბების ქველმოქმედება არ შეუწყვეტია.

ქართული ჯარი, ქართული პოლიცია, განათლების სფერო, სპორტი, კულტურა და ხელოვნება, სოციალური პროექტები, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ეკლესია, ერის კულტურული მემკვიდრეობა — ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია და მოვლა-პატრონობა — მოკლედ რომ ვთქვათ, არ დარჩენილა დარგი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი არ წაშველებია და ეს ყველაფერი კეთდებოდა ჩუმად, უხმაუროდ, ისე, რომ ადამიანი, რომელიც ამას აკეთებდა, ფაქტობრივად, არ ჩანდა.

ძალიან მაინტერესებს, იცის თუ არა ეს ამერიკამ და ევროპამ, იცის თუ არა, სინამდვილეში, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, თუ მისი ცოდნა ამ პიროვნების მოღვაწეობის შესახებ „ნაცმოძრაობის“ მიერ მიწოდებულ ყალბ ინფორმაციებს ეყრდნობა?

მაქვს ეჭვი, რომ ჩვენს პარტნიორებს კონგრესიდან თუ ევროპარლამენტიდან, ფრიად ზერელე და ზედაპირული წარმოდგენები აქვთ ბიძინა ივანიშვილის პიროვნების შესახებ, არ იცნობენ მისი საქველმოქმედო საქმიანობის დეტალებს, არ შეუსწავლიათ, რას აკეთებდა იგი, როგორც ქველმოქმედი და მეცენატი, არ იციან, რომ 2011 წლამდე ბიძინა ივანიშვილს არანაირი ინტერესი არ გამოუჩენია პოლიტიკის მიმართ, არასოდეს არ მოუთხოვია რაიმე თანამდებობა, იყო თავისთვის და ჩვეულებრივ აგრძელებდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პროექტების დაფინანსებას და ქვეყნის დახმარებას.

აი, ამ კაცისთვის აპირებდით სანქციების დაწესებას, აი, ამის შემოქმედს ეძახდით თქვენ ოლიგარქს?

კი, მაგრამ, სად გინახავთ თქვენ მეორე ასეთი „ოლიგარქი“, მთელი სახელმწიფოს პატრონობის ვალდებულება ნებაყოფლობით აეღოს თავის თავზე და თავისი შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ ვალდებულების ფინანსური უზრუნველყოფისკენ მიემართოს.

ვერ დამისახელებთ მეორე ასეთ პრეცედენტს, იმიტომ, რომ მეორე ასეთი პრეცედენტი, უბრალოდ, არ არსებობს.

აქვე ისიც ვიკითხოთ: საერთოდ, რა კავშირი აქვს ოლიგარქობასთან იმას, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებდა და დღემდე აკეთებს?

რა თქმა უნდა, ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ევროპარლამენტარებმა, შესანიშნავად იციან, რომ ივანიშვილი ოლიგარქი არ არის და არც არადსროს ყოფილა. ოლიგარქობა კი არა, სულ სხვა სახელი ჰქვია ივანიშვილის მოღვაწეობას და ეს სახელიც მათ შესანიშნავად იციან, მაგრამ მაინც შეიტანეს 12 პუნქტში სიტყვა დეოლიგარქიზაცია და იქვე დააკონკრეტეს, დეოლიგარქიზაცია დებიძინიზაციას ნიშნავსო.

თუ ოდნავ მაინც პატივს სცემ ქართველ ხალხს, როგორ შეიძლება მის ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ შვილზე, მის ყველაზე დიდ მოამაგე ადამიანზე ასეთი რამ თქვა?

როგორ უნდა შევასრულოთ ქართველებმა თქვენი მოთხოვნა და როგორ უნდა მოვახდინოთ ივანიშვილის დებიძინიზაცია?

ის არანაირ თანამდებობას არ ფლობს, არ აქვს ბიზნესი საქართველოში.

რჩება დასჯის ერთადერთი გზა — გავაძევოთ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან, ანუ გავაკეთოთ ის, რასაც რევანშიზმით შეპყრობილი ფაშისტურ-კრიმინალური ძალა „ნაცმოძრაობა“ ითხოვს, რომ მერე ისინი უპრობლემოდ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. კი, მაგრამ, ამას ხომ საქართველოს მტერი, ქვეყნის ამაოხრებელი და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი „ნაცმოძრაობა“ ითხოვს, თქვენ კი, როგორც თავად გვიმტკიცებთ, ჩვენი მეგობრები და კეთილისმყოფელები ხართ.

დებიძინიზაცია კი არა, ბარემ დესაქართველოიზაცია მოგვთხოვეთ, რადგან ორივე ერთი და იგივეა.

●

დრო გავა და გადაივლის სიძულვილის, ნგრევის, ანგარიშსწორების ეს შემზარავი ქარიშხალი, დღეს რომ მთელ მსოფლიოს წალეკვით ემუქრება.

ადრე თუ გვიან, ადამიანებს რისხვისგან დაბინდული გონება დაეწმინდებათ და მიხვდებიან, რაც მტრობამ დაანგრია, ისევ სიყვარულმა უნდა აშენოს.

ბიძინა ივანიშვილის მთელი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა სიკეთით, სიყვარულით, თანაგრძნობით, თანადგომით არის გამსჭვალული და განათებული.

ამიტომ არა მარტო ქართველები, არამედ სხვებიც, განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდნენ მას და სიყვარულის წილ სიყვარული უნდა დაუბრუნონ.





ბიძინა ივანიშვილის წერილი და განგაში ოპოზიციის შტაბბინაში

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ჰაი, დედასა!.. ანუ მცირე შესავალივით

წინა კვირის ოთხშაბათს ბიძინა ივანიშვილის განცხადება გამოქვეყნდა, რამაც ძალზედ უარყოფითად იმოქმედა ე.წ. ოპოზიციონრების ფსიქიკურ მდგომარეობაზე - აყმუვლდნენ! ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ კი არა, ბიძინა ივანიშვილის წერილმა ააყმუვლა. ქაღალდმა, კაცოოო, ქაღალდმა ააყმუვლა და გადააჭყლეტინა ღობეები!

„ნაცებში“ ქალი როა - ხატია დეკანოიძემ, ეგე, მართლა ბიძინა ივანიშვილის ბრალი ყოფილა, ჩვენ რო ის არ მოგვცესო... რა ჰქვია, ისაო, ევროკავშირში შესასვლელი ბილეთიო. სანამ ივანიშვილს არ მოვაცილებთ ამ ქვეყანას, მანამდე არაფერი გვეშველებაო. ამას ძალაუფლება უნდა წავართვათ და ხალხს გადავცეთო.

ლენინიც ზუსტად ეგრე იძახდა მარქსის „კაპიტალზე“ დაყრდნობით!

ჭიჭე ვაშაძეც იმასვე იძახის, ოღონდ სააკაშვილის „ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე“ დაყრდნობით!

ესენი რომელი ძალაუფლების გადმომცემები არიან, რამე დაითრიონ და აქეთ გადმოგვცემენ? ან კი რანაირად უნდა გადმოგვცენ - „ზონტიკია“?!

გაგიჟდნენ, ისედაც გიჟები იყვნენ, მაგრამ ეხლა მთლად დახიეს საკუთარი აფრები. განა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ჩაყარა ამ დღეში? მისმა მცირე წერილმა, სადაც შავითა სწერია, აშშ-ის ელჩი მარტში შემხვდა და 3 საათი ვილაპარაკეთო.

ეგე, ხომ დადასტურდა, რომ ბიძინა ივანიშვილი აშშ-ს თავს ესხმისო? ჰო, ზუსტად ეგრე „წამააწვინა“ შალიკო ნათელაშვილმა, ივანიშვილი აშშ-ს აშანტაჟებს, თუ დამასანქცირებთ, გამოვალ და ყველაფერს ვიტყვიო.

აჰა, მიაგნო შალიკომ, დაიჭირა ბაწრი გორგლი თავი ხელში და აღარ უშვებს!

ფუჰ!

მართლა გაცოფდნენ, ეს ძღინკიანები, დუჟი გადმოსდით პირიდან, ფსლად იღვრებიან პატივცემული საზოგადოების წინაშე. ქაღალდმა ამ დღეში ჩაყარა, ივანიშვილი რომ გამოჩენილიყო, მაშინ რაღა დაემართებოდათ?!

ბიძინა ივანიშვილის წერილის კვალდაკვალ

სანამ კონკრეტულად წერილის შინაარსსა და საყურადღებო დეტალებზე გადავალ, მინდა გაცნობოთ, რომ „ჭუტლექსვიზიის“ („ტვ. პირველი“) შემოქმედებით ჯგუფს დაუთვლია და დაუდგენია, რომ ამ წერილში 446 სიტყვა იყო. როგორც ცხონებული რეზო ჭეიშვილი იტყოდა, ეს ამბავი სასაცილოზე უფრო სასატირლოა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მოგვიდეს აზრად, ბიძინა ივანიშვილს განცხადებაში სიტყვები დაუთვალო და შემდეგ ამის თაობაზე მოსახლეობას აცნობო, მაგრამ ალბათ ასეა, როცა მეთუთუნე ტელევიზიას ქმნის - მეთუთუნეებს თავიანთებური ლოგიკა, განათლება და ანგარიში აქვთ, ისინი ყველგან და ყველაფერში სიზუსტეს ეძებენ. თუმცა, როგორც სამხედრო გენერალი ამირან სალუქვაძე იტყობინება, „ჭუტლექსვიზიის“ მუშაკები აქაც შეცდნენ, სინამდვილეში 444 სიტყვა და 3619 სიმბოლო ყოფილა!

მოკლედ, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნებიდან“ გასულმა დეპუტატებმა მიხეილ ყაველაშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ და სოზარ სუბარმა აშშ-ის ელჩს, კელი დეგნანს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე

ვერაფერი ათქმევინეს, ახლა ბიძინა ივანიშვილს მიადგნენ, ეს თუ არაფერს ამბობს, მაშინ თქვენ მაინც გვითხარითო. ეგ კი არა, დეგნანმა საერთოდ იუარა, ივანიშვილს წლების განმავლობაში არ შეეხვედრივარო. ცრუპენტელა და არასანდო ყოფილა ეს ქალი, ჩვენ კიდე გვეგონა, აშშ-ის ელჩები არასდროს იტყუებოდნენ და „დაჟე“ ტუალეტშიც კი არ დადიოდნენ.

აი, რას ამბობს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ თემაზე თავის განცხადებაში:

„რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“.

აბა, მეგობრებო, მოდით, აქვე დავსვათ შეკითხვა - რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილი უფრო მაგარი დიპლომატია თუ აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი? რა თქმა უნდა, ივანიშვილი, მან ისე კონკრეტულად, ისე ლაკონურად უპასუხა საზოგადოებაში წამოჭრილ შეკითხვას, ბევრ გამოცდილ დიპლომატსაც კი შეშურდება. მართალია, ე.წ. ოპოზიციამ, როგორც ყოველთვის, თავის დაავადებულ გონებაში ეს ფაქტი მახინჯურად გაატარა და დაადგინა, რომ თურმე ამით „ოლიგარქი“ აშშ-ს აშანტაჟებს, მაგრამ ეს მხოლოდ მახინჯური აზრია, რომლის გაზიარებაც უბრალოდ სირცხვილია.

ჩვენ კარგახანია გვესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მმართველია... რომ ის ერევა სახელმწიფო საქმეებში... რომ ის პოლიტიკიდან არსად წასულა... რომ ის რუსებს უკრაინასთან ომში ეხმარება რაღაც შავი ხვრელებით... რომ ფაქტობრივად ის არის რუსი ოლიგარქი და... ღირსია, დაისაჯოს, ანუ „თანამედროვე“ ქართულით რომ წარმოვთქვათ (ლევანხაბეიშვილისეულად, საბაბუაძისეულად, სერგოჩიხლაძისეულად, ანანაცვლიშვილისეულად, სალომესამადაშვილისეულად), უნდა დასანქცირდეს. აქედან არც ერთი ბრალდება არ გახლავთ სიმართლე. შეიძლება აღარ გახსოვთ, ივანიშვილთან ბოლოს წინა შეხვედრისას კელი დეგნანმა ასეთი რამ თქვა: „ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი წვლილი შეიტანა ბიზნესში, განათლებაში, ის არის ფილანტროპი“. დეგნანი მწირ ინფორმაციას გვაწვდის, ამ კაცმა მხოლოდ ბიზნესსა და განათლებაში შეიტანა საკუთარი წვლილი? განა არსებობს სფერო, სადაც არაფერი აქვს გაკეთებული? სპორტი, კულტურა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, პოლიტიკა... რამდენი ჩამოვთვალო? არაუშავს, აქ თვალსაჩინო ის გახლავთ, რომ დეგნანს დაახლოებით ერთი თუ ორი წლის წინათ სულ სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა ბიძინა ივანიშვილზე - მისი აზრით, ის იყო ფილანთროპი (ჰჰილანტჰრ[ჰ]ოს - კაცთმოყვარე, ქველმოქმედი, მოწყალე პიროვნება, რომელიც მოქმედებს საზოგადოების სასარგებლოდ), ახლა კი რა მოხდა, რატომ შეიცვალა მის მიმართ განწყობა, რატომ გადაფასდა მისი ღვაწლი და საქმიანობა? მოხდა მხოლოდ ის, რომ მან უარი თქვა ქვეყნის განადგურება-გაპარტახებაზე, ომში ჩაბმაზე, რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნაზე. ახლა, როცა თითქოს სამშვიდობოს გავედით, როცა არაერთგზის მცდელობისა, საქართველო პროვოკაციაზე ვერ წამოაგეს, ხელისუფლება ვერ წამოაჩოქეს, სიმაღლის მიხედვით იფიცებენ, არა, როგორ გეკადრებათ, ომში ჩათრევა რა საკადრისია, ვინ გითხრათ, საიდან მოიტანეთ, რა მეორე ფრონტი, რი ატმი კურკა, არ გრცხვენიათო? არადა, უკრაინის ხელისუფლებიდან ავაზაკები ასევე სიმაღლის მიხედვით გამოდიდნენ და გვეაჯებოდნენ, გვამების ამბავში თუ წაგვეხმარებით, კარგი იქნებაო, რუსეთს მარტო ჩვენ არ უნდა ვებრძოდეთო. გვეაჯებოდნენ კი არა, პირდაპირ გვავალდებულებდნენ, ისეთი ტონით გველაპარაკებოდნენ, გეგონება სავარადჟამო ვალი გვქონდა მაგათი. განა მხოლოდ უკრაინელი ავანტიურისტები? ევროპარლამენტართა ერთი წყებაც მაგ ჭკუაზე არ იყო? სწორედ მაგიტომ არ მოგვემდურნენ? ის რომელი ევროპარლამენტარი იყო, რომ გამოაცხადა, უკრაინელები ევროკავშირისთვის იხოცებიან, ისინი მზად არიან, კვლავაც მოკვდნენ და ამიტომ ვალდებულნი ვართ, ევროკავშირში მივიღოთო. მგონი ვიოლა ფონ კრამონი, ხომ? რა მნიშვნელობა აქვს, რომელი იყო, ხომ იყო და ხომ ითქვა? ესენი არიან მშვიდობის მტრედები და დემოკრატიის შუქურვარსკვლავები? რაღაც არ მგონია! გარეულებს დავანებოთ თავი, შინაური „ნასედკებიც“ ვახსენოთ... ამათ სათავეში აუცილებლად ე.წ. სახალხო დამცველი უნდა ჩავუყენოთ, რომელმაც განაცხადა, ეგეთ სირცხვილს ცეცხლის წვიმა მირჩევნიაო. იცით, რატომ ურჩევნია მაგას ცეცხლის წვიმა და არმაგედონი? ამ შემოდგომაზე ვადა გასდის და ისეთი მოვლენა აწყობს, რომელიც მსუყე თანამდებობაზე ყოფნას გაუხანგრძლივებს. ქალი ზის, არაფერს აკეთებს, მარტო „ნაცებს“ თუ გადმოხედავს მოწყალე თვალით და ამაში იღებს მილიონებს, ხო კაია?!

დავუბრუნდეთ ბიძინა ივანიშვილის წერილს, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს, რომ ამ კაცისთვის საქართველო უპირველესი საზრუნავია:

„დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, ქართველმა ხალხმა დღეს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისი უმთავრესი ღირებულებებია. ამასთან, ქართულმა საზოგადოებამ ყველას დაუმტკიცა, რომ ხანმოკლე დემოკრატიული გამოცდილების მიუხედავად, აქვს სიბრძნე, რომელიც ურთულეს გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების შესაძლებლობას აძლევს.

უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას პოლიტიკიდან ჩემი გასვლის გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობე და მას შემდეგ, ჩემივე გადაწყვეტილებას სრულად ვიცავდი და ვიცავ. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ერთადერთი საჯარო განცხადება გამოვაქვეყნე და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი სახელით სპეკულირების საშუალება არავისთვის მიმეცა. არ მინდოდა, პოლიტიკურ პროცესებზე არათუ მე, თუნდაც, ჩემს ფაქტორს რაიმე გავლენა ჰქონოდა და საჯარო სივრციდან ჩემი სრული დისტანცირების მიზეზი სწორედ ეს იყო და არის.

ამავდროულად, როგორც ამ ქვეყნის შვილი და მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი, ბუნებრივია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მთელი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს. რეგიონში არსებული ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე, საქართველოს და მის მმართველ გუნდს გასული თვეების განმავლობაში ძალზე მტკივნეული პროცესების გავლა უწევდა და უწევს. საქართველოსთვის და მისი ხელისუფლებისთვის ვითარებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ გარკვეული ძალები საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ და მათი ეს სურვილი და მიზანი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.

უდიდესი სირთულეების მიუხედავად, მმართველმა გუნდმა სწორად იმუშავა, სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა და მთავარი სირთულე, ომის საფრთხის პირველი ეტაპი უკვე გადალახა. ამ ძალისხმევის წყალობით, საქართველოს ომში ჩათრევის უშუალო საფრთხე დღეს მაქსიმალურად არის განეიტრალებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინაში ომის დასრულებამდე, გარკვეული რისკები ჯერ კიდევ რჩება და როგორც

ბიძინა ივანიშვილის წერილი და განგაში ოპოზიციის შტაბბინაში

ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რათა საქართველომ საბედისწერო ომი საბოლოოდ აიცილოს თავიდან“.

ამ ფრაზებიდან აშკარად ჩანს და ბიძინა ივანიშვილი ადასტურებს კიდევაც, რომ ომში ჩათრევის მცდელობა რეალურად არსებობდა და ეს მცდელობა გადავლილი ჯერაც არ არის - სანამ არესტოვიჩებს, არახამიებსა და მათნაირ ქაჯებს ყვერებით არ ჩამოჰკიდებენ, მანამდე არ დაშოშმინდებიან.

მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა, ყურადღება - საქართველოს ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან არ უნდა დაზიანდესო. ესეც შესაშური დიპლომატია გახლავთ, ბიძინა ივანიშვილი ასეთი გაუგებარი პერიოდის დროსაც კი უფრთხილდება სტრატეგიული პარტნიორების ინტერესებს და მაინც მაღლა აყენებს მეგობრობას. ასე რომ, ტყუილია ე.წ. ოპოზიციონერთა ფეიკ-გარჯა და იმის მტკიცება, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქია. აქ შეიძლება გაგელიმოთ, ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია და გოგია ხოშტარია (თავის შვილთან ერთად), რომელიც რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება, დიდი პატრიოტი? დიდი მამულიშვილი? აბა, რანაირად... აბა, ეს როგორ? არ გამოდის, ამ შემთხვევაში კოკას ყური ყოველი მხრიდან არ ებმება!

ამავე წერილში არის ერთი დეტალი, რომელიც კარგად ასახავს ბიძინა ივანიშვილის კეთილშობილურ ბუნებას - საქმე ეხება პირად პრობლემებს შვეიცარიულ ბანკთან:

„რაც შეეხება ჩემს პირად პრობლემას, რომელიც შვეიცარიულ ბანკთან ურთიერთობაში წარმოიშვა და დღესაც აქტუალურია, მიმაჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მას პირდაპირი კავშირი აქვს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ რთულ სიტუაციას, პრაქტიკულად, თავი უკვე გაართვა და ომის უშუალო საფრთხე გადაიარა, მირჩევნია, ჩემი და შვეიცარიული ბანკის ურთიერთობა ჩემ პირად პრობლემად დავტოვო და ეს პრობლემა საზოგადოებას ზედმეტად თავს არ მოვახვიო. აქ იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რაზე ვგეგმავდი შვეიცარიული ბანკის მიერ გაჩერებული თანხების დახარჯვას - კერძო მიზნებისთვის თუ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მირჩევნია, ბანკის მიერ შექმნილი პრობლემა საზოგადოებამ ყველა შემთხვევაში ჩემ პირად პრობლემად განიხილოს“.

გესმით? ფინანსური პრობლემა და შვეიცარიულ ბანკთან დავა კი უკავშირდება საქართველოსი მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ეს ყველაფერი დავტოვოთ პირად პრობლემად, არ მინდა, საზოგადოება ზედმეტად შევაწუხოო. ჰმ... სააკაშვილს რომ დამართნოდა იგივენაირი ამბავი, ტვინს გაგვიბურღავდა, ხედავთ, თქვენს გამო რა დღეში ვარო? მამუკა ხაზარაძე „ჭუტლექსვიზიაში“ სერიალებს დადგამდა, თუ როგორ სჯიან დიდი მამულიშვილური გრძნობების გამო. თუმცა ისინი ვერასოდეს აღმოჩნდებიან მსგავს სიტუაციაში, მაშინ ბიძინა ივანიშვილები უნდა იყვნენ.

ბარემ აქვე გეტყვით... ის დღე, როცა ივანიშვილმა წერილი გამოაქვეყნა, ძალზედ იღბლიანი აღმოჩნდა - 12 საათს სულ რამდენიმე წუთი იყო გადაცდენილი, რომ გადადგა „კრედიტ სუისის“ (შვეიცარიული ბანკის) აღმასრულებელი დირექტორი. კი არ გადადგა, ზარალისა და არასწორი მენეჯმენტის გამო „დააპაშოლეს“. ეგ კიდევ არაფერი... 16 საათსა და 00 წუთზე სასამართლომ იგივე ბანკი დაავალდებულა, 42 დღის ვადაში აანაზღაუროს ივანიშვილისთვის მიყენებული ზიანი - 607 მილიონი დოლარი. 29 ივლისს ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი „კრედიტ სუისის“ კიდევ ერთ შვილობილ ბანკს უჩივის. როგორც „ბლუმბერგი“ იტყობინება, ბიძინა ივანიშვილი შვეიცარიული ბანკის განყოფილებასთან სასამართლო დავისთვის ემზადება, რომელიც თაღლითი ბანკირის პატრიკ ლესკოდრონის მოქმედებით გამოწვეულ 800 მილიონიან ზარალს უკავშირდება. გეუბნებით, ვინც კი ამ კაცს დაუპირისპირდა, ყველა გაფარჩაკდა - ზოგს დორბლი ჩამოსდის, ზოგს კურნავენ მაგრამ ვეღარ იკურნება, ძალიან ბევრი კიდევ ხონის საგიჟეთშია დასაწვენი. რაც შეეხება ამ სახელოვან ბანკს, საერთაშორისო დონეზე ავტორიტეტიც შეელახა, გავლენაც და ფინანსური მდგომარეობაც, ლამისაა გაკოტრების პირას მივიდა, თუ ახლა 800 მილიონის საქმეც წააგო, ნამდვილად გაკოტრდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსხვილმა კლიენტებმა უკვე დაიწყეს თავიანთი თანხების გატანა. როგორც ჩანს, მითი შვეიცარიული ბანკების საიმედოობაზე, იმსხვრევა და წარსულს ბარდება. როდესაც ტიტულოვანი ფინანსური ორგანიზაცია ევროპარლამენტის თაღლითურ რეზოლუციას ასეთ სერიოზულ კლიენტთან ასევე თაღლითურად იყენებს და ლამის სანქციას უწესებს, აუცილებლად გაკოტრდება.

დავუბრუნდეთ კელი დეგნანის საქმეს... ბიძინა ივანიშვილის წერილის გამოქვეყნების შემდეგ მან პატივი დაგვდო და აღიარა, შევხვდი, მაგრამ არაფერზე გვილაპარაკიაო, არც ომში ჩათრევაზე, არც პოლიტიკაზე, არც ფულზეო. ისევ გვაბოლებს მისის დეგნანი - უახლოეს ხანში იტყვის, რომ ბატონ ბიძინას ამერიკულ და ქართულ ლიტერატურაში ქალთა სახეებზე ესაუბრა, წამოსვლისას კი დაუბარა, მომავალში აბორტზე ვილაპარაკოთ, ჩემს ქვეყანაში ერთი ამბავი როა ატეხილიო. მოკლედ, დეგნანმა სადღეგრძელო გვითხრა, ჩვენნაირი მეგობარი თქვენ არ გყავთო, ქალი აშკარად გატეხილია და არ გამოვრიცხავ, ცოტაოდენ ჟიმჟიმიც ჰქონდეს. როდესაც სამი დეპუტატი „ქართულ ოცნებას“ გამოეყო და აშშ-ის ელჩს შეკითხვები დააყარეს, შეხვდა თუ არა ივანიშვილს, ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ მათ უკვე იცოდნენ შეხვედრის შესახებაც და ამ შეხვედრის შინაარსზედაც. ჰოდა, დეპუტატი სოზარ სუბარი მაინც არ ეშვება, ის კვლავ წერს კელი დეგნანს, თქვენმა პასუხმა საზოგადოება არ დააკმაყოფილა, პოზიციას რომ შეიცვლიდით, ანუ „პლასტინკას“ რომ გადაატრიალებდით, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ ბუნდოვანება უნდა გავფანტოთო. სუბარი დაბნეულ ელჩს კვლავ უსვამს შეკითხვებს:

ა) ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას, გამოთქვა თუ არა მან უკმაყოფილება ომთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციის გამო?

ბ) ამ უკმაყოფილების ნიადაგზე, მოსთხოვა თუ არა მან ბიძინა ივანიშვილს დაჟინებით პოლიტიკაში დაბრუნება?

გ) შეხვედრისას, მოსთხოვა თუ არა მან ბიძინა ივანიშვილს რუსეთისთვის სანქციების დაწესება?

მე პირადად დარწმუნებული ვარ, სოზარ სუბარი ასეთ შეკითხვებს იმიტომ სვამს, რომ დეგნანისა და ივანიშვილის საუბრის შინაარსი მისთვის ცნობილია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ:

დიახ, შეხვედრისას ელჩმა მართლაც გამოთქვა უკმაყოფილება ომთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციის გამო!

დიახ, ამ უკმაყოფილების ნიადაგზე მან მართლაც მოსთხოვა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნება, რათა ის შარში გაეხვია!

დიახ, შეხვედრისას მან მართლაც მოსთხოვა ივანიშვილს რუსეთისთვის სნქციების დაწესება!

რომ არა აშშ-ის ელჩის ასეთი თავხედური მოთხოვნები, დანარჩენი ე.წ. ოპოზიცია ასეთ თავხედურ განცხადებებს ვერ გააკეთებდა და ვერც შედარებით მრავალრიცხოვან აქციებს ჩაატარებდა. როდესაც დეგნანმა ვინმე მაქარაშვილთან სურათი გადაიღო, საზოგადოება მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქალბატონი რელსებიდან იყო გადასული და ღობეების ჭყლეტვით გახლდათ დაკავებული.

ამჯერად აქ დავასრულებ, მაქვს გონივრული ეჭვი, ამ თემას უახლოეს ხანში ისევ დავუბრუნდები. ახლა ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ამ შემოდგომაზე ესეც მშვიდობიანად გავაცილოთ თავის სამშობლოში. ესა და ჩვენი ე.წ. სახალხო დამცველი ერთდროულად მიდიან. ჰო, კიდევ ერთი - ამან, ამ ელჩმა წამოგვაყვედრასავით, ამ წლების განმავლობაში აშშ-მ 6 მილიარდი დოლარის დახმარება გაგიწიათო. თან მოწყალე თვალით გადმოგვხედა, ამით გვაგრძნობინა, ნუ ხართ უმადურებიო. ესე იგი, ამ წლების განმავლობაში ევროკავშირი 3 მილიარდით დაგვეხმარა, აშშ კი 6 მილიარდით. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მან დახარჯა 3 მილიარდ დოლარზე მეტი, ლამის 4 მილიარდს მიაღწევს მალე. აჰა, ხალხო, ტარანი თვლით არ არი? ჯერ ერთი, ამათი დახმარებები ძირითადად უსაქმური არასამთავრობოების ჯიბეებში მიდის და მეორეც - ეს თანხები უმეტეს შემთხვევაში იყო (არის) სესხი. კი, ბატონო, თუ რამე გვაჩუქეს, თუ რამე გაგვიკეთეს, დიდი მადლობა, მაგრამ ვინც ჩვენ უანგაროდ გვეხმარება, ვინც საკუთარ ქვეყანას რუდუნებით აშენებს, თავი დაანებონ, შეეშვან, აცალონ და ჩვენც, მოსახლეობასაც შეგვეშვან, გვაცალონ, მშვიდობა გვინდა. ვისაც არ ეზარება, ჩამოსულიც და აქაურიც, ყველა ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს და თანაც ძალიან ბევრ სისულელეს ლაპარაკობს. გეყოფ, საკმარისია!







გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

დღეს ევროპას და აშშ-ს უნდა დავანახოთ, რომ მონები არ ვართ

გვესაუბრება სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე

— მოგესალმებით ბატონო ლევან, პირდაპირ დავიწყოთ გასული კვირის აქტუალური მოვლენით: ბიძინა ივანიშვილმა წერილი გამოაქვეყნა. რას იტყვით ამ წერილის შინაარსზე?

— ძალიან ყურადღებით გავეცანი ამ განცხადებას და უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ფრთხილი და მოზომილი განცხადებაა.

პირდაპირ ვიტყვი: ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციების დაწესების მოთხოვნა ზელენსკი-არახამიას ჯგუფის მხრიდან, მეხუთე კოლონის გააქტიურება საქართველოში, რომელიც საზღვარგარეთიდან ფინანსდება, მიმართულია იქითკენ, რომ გამოიწვიონ არეულობა საქართველოში, რათა დაირღვეს სახელმწიფოებრიობა და მშვიდობა საქართველოში, აი, ეს არის მიზანი და მიზეზი ყოველივე იმისა, რაც ხდება ჩვენს თვალწინ და ჩვენს ირგვლივ. მათი ძირითადი მიზანია, ამყოფონ ხელისუფლება ისეთ რეჟიმში, რომ მუშაობის საშუალება არ მიეცეს, გაღრმავდეს კრიზისი და ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ.

— მოდით, უფრო დავკონკრეტდეთ: ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა ელჩთან შეხვედრის ფაქტი, მაგრამ არ დაუზუსტებია, რომ საუბარი იყო, მაგალითად, მეორე ფრონტის გახსნაზე. საიდან გამოდის ის დასკვნა, რომ ელჩი ყოფილ პრემიერს ნამდვილად ამ საკითხებზე სასაუბროდ შეხვდა? თანაც ეს ბიძინა ივანიშვილის მაღალი ავტორიტეტის აშკარა აღიარებაა.

— მე ვერ ვილაპარაკებ ვარაუდებით, უნდა ვისაუბროთ შედეგებით და ამ შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დასკვნები გამოვიტანოთ. შედეგები კი ასე შეიძლება დალაგდეს: როგორც კი საქართველო ომში არ ჩაერთო, დაახლოებით ორი თვის წინ, ანუ ელჩის შეხვედრის შემდეგ, დაიწყო ღია მუქარა უკრაინის მხრიდან, გვახსოვს ზელენსკი-არახამიას შეურაცხმყოფელი გამოხტომები და სანქციების მოთხოვნა, ევროპარლამენტარებისა და „კრედიტ-სუისის“ ურთიერთკავშირი და მათი გააქტიურება საქართველოს წინააღმდეგ, კანდიდატობის სტატუსის შეჩერება ევროკავშირის მხრიდან, ბიძინა ივანიშვილისადმი სანქციების დაწესების პროცედურის დაწყებაზე საუბრები, მეხუთე კოლონის ამოქმედება საქართველოში, რომ ვიღაცას უნდა ევროკავშირში და ვიღაცას — არა, საზოგადოების „დაბოლება“, ხელისუფლებაში რყევის გამოწვევა და შეუცხმყოფელი პიარკამპანიები ტელევიზიებიდან, რომ ხელისუფლება მოწყვიტონ მთავარი საკითხებიდან — სოციალური პრობლემებიდან, მიგრაციის შეჩერების, ხელფასებისა და ინფლაციის საკითხების დარეგულირებისგან და მთლიანობაში ისეთი სიტუაციის შექმნა მოახერხონ, რომ გამოიწვიონ ფართო სახალხო მღელვარებები და ცვლილებები.

რაც ხდება დღეს საქართველოში, არის პირდაპირი გამოძახილი ივანიშვილის უარისა, საქართველოში გაჩაღებულიყო ომი.

ბიძინა ივანიშვილმა საქართველო კიდევ ერთხელ დაიცვა საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდების ხარჯზე, თავისი ზიანის ხარჯზე და რა შემოტევებიც არის დღეს საქართველოზე, იმის ხარჯზე. ახლა რომ საქართველო დაბომბილი და განადგურებული არაა, ეს ამის შედეგია.

— შეგახსენებთ: „დეოლიგარქიზაცია“ კვლავ ძალაშია.

— მოდით, გავშიფროთ, რას ნიშნავს ოლიგარქი და დეოლიგარქიზაცია და სინამდვილეში, ვინ არის ოლიგარქი?! ოლიგარქი გახლავთ ადამიანი, რომელსაც აქვს დიდძალი ფული, რომლითაც შეუძლია მოახდინოს გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე, მედიასაშუალებებზე და ა.შ.

ივანიშვილი მმართველობაში არ არის, მას არ გააჩნია მედიასაშუალებები, სხვა ლეგალური ბერკეტები, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოში არსებულ მეხუთე კოლონას აფინანსებენ ქვეყნის ბიუჯეტიდან მოპარული თანხებით, თავად საზღვარგარეთ არიან და ტელევიზიებს, პარტიებს აფინანსებენ, სწორედ ისინი არიან ოლიგარქები კლასიკური გაგებით, მაგრამ შეტევა მაინც მიდის ბიძინა ივანიშვილზე. ეს ხდება იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის დღევანდელი სახელისუფლებო სისტემის ავტორი, ის არის დღევანდელი სახელისუფლებო პოლიტიკური ელიტის შემქმნელი და სისტემა, რომელიც დღეს ფუქნქციონირებს, არის ბიძინა ივანიშვილის შექმნილი. ახლა როგორ წარმოგიდგენიათ — ავტორი და სისტემის შემქმნელი უნდა წავშალოთ რეალობიდან? მას რაც უნდა სტატუსი არ ჰქონდეს, აქვს და ექნება გავლენა, რადგან ფუნდამენტის ჩამყრელია და არ არის გასაკვირი, რჩევა ჰკითხონ ხელისუფლების, ან პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა. ბიძინა ივანიშვილის განეიტრალებით ჩვენს მტრებს სურთ, განძარცვონ სახელისუფლებო სისტემა, დაასუსტონ და დაშალონ, რომ ადვილად შეძლონ ქვეყნის რყევა და ნგრევა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ უფრო გვიბედავენ და იციან, რომ ივანიშვილის განეიტრალებით გამოაცლიან საძირკველს საქართველოს. თუმცა, რაც უნდა მოხდეს, რომც წავიდეს ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან, რაც არ მგონია რომ მოხდეს, მაინც ვერ წაშლიან მის როლს ქართულ პოლიტიკაში და ვერც ოლიგარქის იარლიყს მიაკერებენ.

— ელჩიც ამიტომ შეხვდა, თუმცა არასდროს აღიარებენ ამას ხმამაღლა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ხმამაღლა აღიარებენ თუ არა? აშშ-ს არ აინტერესებს აქ ვინ რას აკეთებს, მათ აქვთ მიზანი — ეს პატარა ქვეყანა ჩართონ ომში, თუნდაც გავნადგურდეთ.

— ახლა თქვენ ღიად დებთ ბრალს ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას.

— მითხარით, ვიგონებ რამეს? არ იყო მცდელობა ჩვენი ომში ჩართვის და ე.წ. მეორე ფრონტის გახსნის?

— ზელენსკი ითხოვდა ამას ღიად.

— ზელენსკი ადგა ერთ დილას და ეს მოუვიდა აზრად?

დავიმახსოვროთ ერთი რამ: არავინ არ არის ჩვენი არც პარტნიორი, არც მეგობარი, ჩვენი მეგობარია ჩვენი სახელმწიფო ინტერესები და აქედან გამომდინარე შეძლება მეგობრებზე ვისაუბროთ.



ზელენსი, არახამია და მსგავსი პროვოკატორები იმიტომ გამოდიან ასეთი ხისტი განცხადებებით, რომ საქართველომ უარი თქვა გარკვეულ სცენარში მონაწილეობაზე. ჩვენთვის ახლა მთავარია, კარგად გავერკვიოთ, რა სცენარია საქართველოს წინააღმდეგ მოფიქრებული და მივიღოთ ისეთი ზომები, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ.

ყველამ ვნახეთ, დარტყმები წამოვიდა ირაკლი კობახიძის მიმართულებითაც. ესეც არის სცენარის შემადგენელი ნაწილი, არსებობს გეგმა, როგორ უნდა მიუსიონ მედიასაშუალებები, გაწვრთნილი ჰყავთ ჟურნალისტები, როგორი ფორმით უნდა დასვან შეკითხვა, რომ შექმნან დღის თემები. მეხუთე კოლონა ქმნის დღეს დღის წესრიგს საქართველოში. ხელისუფლება ვერ ახერხებს ამას, რადგან ყველა მხრიდან მიმდინარეობს თავდასხმა, რათა მიღწიონ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაუცხოებას, რომ ამ კუთხით შეასუსტონ ხელისუფლება, მისი გავლენები და შესაძლებლობები, შექმნან ლეგიტიმაციის პრობლემები და ა.შ. ახალი ტალღა ამ მიმართულებითაც არის მოსალოდნელი სექტემბრის თვიდან.

დღეს სახელმწიფოში არსებობს სპეციალური ჯგუფები, იგივე სპეცსამსახურები და ა.შ. რომელთა პირდაპირი მოვალეობაა, გამოაქვეყნონ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა, არასამთავრობოთა და სხვა პირების სახელები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან. ესენი არიან პირდაპირი მტრები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ალამაზებენ სპეციალურად მოფიქრებული სახელწოდებებით — გამჭვირვალობა, ტოლერანტობა და ა.შ.

საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ცხოვრობს ამათ მავნებლურ რეჟიმში, თუმცა ახლა არაა დრო, რომ ხელჩართული ბრძოლა გავაჩაღოთ, მაგალითად, დასავლეთის მიმართულებით. დღეს სიღრმისეული ცვლილებები მიმდინარეობს ევროპის საზოგადოებაში, აშშ-ში, ამიტომ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ამ ქვეყნებმა ჩვენთან ურთიერთობა დაიწყონ, როგორც ნამდვილ პარტნიორთან. ამ პროცესში ვართ ახლა — ან უნდა ვიყოთ მორჩილნი, ანდა გავხდეთ პარტნიორები — მტერთანაც უნდა ვილაპარაკოთ და პარტნიორებთანაც.

— ომში ჩართვის საფრთხე კვლავ არსებობს?

— ახლა მომსწრე ვართ გიგანტების ომის, სადაც ჩვენი ადგილი არა არის. ისედაც ბევრი გავიარეთ რუსეთთან საომარ წინააღდეგობაში და ახლა ჩვენი ომში ჩართვა კატასტროფის ტოლფასია.

ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ შანსი გვეძლევა გავხდეთ ღირსეული პარტნიორები დასავლეთის და ამერიკის შეერთებული შტატების. მათ უნდა დაინახონ, რომ მონები კი არ ვართ, არამედ, ჩვენთან მეგობრობა არის შესაძლებელი.

ამავე დროს ნაბიჯები უნდა გადავდგათ რუსეთისკენაც. ახლა რუსეთს ჩვენთან ურთიერთობა სჭირდება და უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი.

დავიწყოთ მოქმედებები აფხაზებთან და ოსებთან ადამიანური ურთიერთობის აღდგენისკენ, რომ მომავლისთვის სასიკეთო პროცესებზე ფიქრი შეგვეძლოს.

ვიფიქროთ კონსტრუქციულ და მეგობრულ დამოკიდებულებებზე ირანთან, თურქეთთან, და სხვა ახლო მეზობლებთანაც, პერსპექტივები დიდია, ახლა ჩვენს გონივრულ ქმედებებზეა ყველაფერი დამოკიდებული.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მე მეუბნებიან, რომ დღეს საქართველო განსაცდელშია... რომ დღეს საქართველო ბეწვის ხიდზე გადის... რომ დღეს ავი ძალები იმ ადამიანს ერჩიან, რომელმაც თავისი ქვეყნისთვის ძალიან ბევრი გაიღო და იმდენი გააკეთა, არავის რომ არ გაუკეთებია და არავის რომ არ გაუღია. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მსგავს ადამიანზე ისტორიის წიგნებში არაფერი წერია.

მე იმასაც მეუბნებიან, როცა საქართველოს უჭირდა, მისი ზედა ფენა, ანუ ინტელიგენცია ყოველთვის წინა ფლანგზე იდგა და სამშობლოს იცავდაო. იყო ჩავარდნებიც, იყო ღალატიც, იყო თვითნებური გამოხტომებიც, მაგრამ საერთო ჯამში ქვეყნისთვის განათლებული საზოგადოება მაინც ირჯებოდაო.

რა თქმა უნდა, იყო ჩავარდნები და ერთი დიდი ჩავარდნა სწორედ თოდ მოკვეთაო, ხმას რატომ არ იღებთ, ჩირგვებში რატომ ხართ ჩაცუცქულები, რაღაცას და ვიღაცას რატომ ელოდებით?

მხატვრებს, მწერლებს, მუსიკოსებს, სპორტსმენებს ბიძინა ივანიშვილისკენ ხელი კი აქვთ გაშვერილი, ყოველი თვის ბოლოს საბანკო ბარათს სასოებით კი დაჰყურებენ, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც სამშობლო უყენიათო. არ დაიჯერებთ (არც მე მჯეროდა), მსგავსი პასუხები მეც გამიგონია - მაიცა, რააა, რაკი ბიძინა ფულს მიხდის, მთელი ცხოვრება მისი მონა უნდა ვიყო და აღარც გავაკრიტიკო, აღარც

ჩვენი მუდმივი დილემა – სად არის ჩაცუცქული ქართული ინტელიგენცია?!

ჩვენს თვალწინ 1991-1992 წლებში მოხდა, როცა ინტელიგენცია მოღალატეებს მიემხრო და კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ხელში იარაღი აიღო. პირადად ჩემთვის „ინტელიგენცია“, როგორც ცნება, იმ უაზრო ამბოხის შემდეგ საერთოდ წაიშალა და აღარც კი არსებობს, მაგრამ შეიძლება ამას დანარჩენი საქართველოსთვის, ანუ თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს - ის ადამიანები, რომლებიც მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტსა და განათლებაში მოღვაწეობდნენ, ისევ არსებობენ, ისევ მოღვაწეობენ, ქუჩაში ისევ დადიან, ტელევიზორს ისევ უყურებენ, საჭმელს ისევ მიირთმევენ, წყალსაც სვამენ, ლუდსაც, ღვინოსაც და... თქვენ წარმოიდგინეთ, ბიძინა ივანიშვილის ყულაბიდან ყოველთვიურ დახმარებებსაც იღებენ. აიღონ, კაცო, განა რამე? განა ვინმე აყვედრით? განა ბატონი ბიძინა გამოთქვამს უკმაყოფილებას? არა, უბრალოდ თვითონ ცხოვრება სვამს „იდუმალ“ შეკითხვას: თქვე ჩემისებო, კაცმა წლები რომ გამოგატარათ, გაჭირვება არ გაგრძნობინათ, ადამიანურ ყოფაში გაცხოვრათ, ოჯახები გადაგირჩინათ, ამჟამადაც ხელს გიმართავთ, მის კმაყოფაზე იმყოფებით, ყოველი თვის ბოლოს ბანკის ბარათს სასოებით დაჰყურებთ, ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ იცით, რა მიკვირს? დღეს, როცა იგივე ბიძინა ივანიშვილის წინაარმდეგ ასეთი გააფთრებული კამპანია მიმდინარეობს, როცა ყველა შინაურმა თუ გარეულმა მტერმა თავი წამოყო - სანქციებიო, ქვეყნიდან გაძევებაო, საერ-

გავლანძღო? ბოლოს და ბოლოს, არ მაქვს უფლება, საერთოდ გავჩუმდე, ჩირგვებში დავიმალო და სხვა დროს დაველოდო?

ბიძინა ივანიშვილია დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანი, რომელიც დანახარჯისა და სიკეთის სანაცვლოდ არაფერს ითხოვს - არც მონობას, არც ერთგულებას, არც სიყვარულს, არც სიტყვის შეწევნას, არც გვერდით დგომას, არც მხარდაჭერას. ჩვენს გარშემო უამრავნი არიან, ვისაც ზედ გადაჰყვა - ზოგს სიცოცხლე აჩუქა, ზოგს აგარაკი უყიდა, ზოგს სახლი აუშენა, ზოგს ოჯახი ფეხზე დაუყენა, ზოგს საბანკო ვალები დაუფარა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? წავიდნენ ასეთები, განერიდნენ, თავები შორს დაიჭირეს და აქეთ ლანძღავენ - იმის მხარეს გადავიდნენ, კლინიკაში ბოყინით რომ სკდება და ნაწილ-ნაწილ იშლება (როგორც მისმა ახალმა ადვოკატმა, შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, 14 სახის დაავადება ჰქონია).

არადა, ეს ხალხი, ვისზეც მე გელაპარაკებით, ვისაც ინტელიგენციას ვუწოდებ (უფრო სწორად, ვისაც უწოდებენ), ხმამაღლა არც იმას ამბობს, რომ ჩვენ, ქართველებს ომი არ გვინდა, ომი არ გვჭირდება, ქვეყანა არავის არ უნდა დავანგრევინოთ. მათ უკრაინული დროშები აქვთ გამოფენილი და თუთიყუშებივით მხოლოდ იმას იმეორებენ, რომ რუსეთი ოკუპანტია. დიახ, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ თქვენ ის მითხარით, ომი და მეორე ფრონტი გინდათ? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შინაურულად თუ დაელ-

აპარაკებით, გეტყვიან, რომ არ უნდათ... უფრო სწორად, ხელით განიშნებენ, რომ არ უნდათ, უბრალოდ ამას ხმამაღლა ვერ გამოაცხადებენ, რადგან ამას ცუდად გაუგებენ და რუსეთუმეებად შერაცხავენ. ახლა ივანიშვილზე კარგი რომ თქვან, ცუდად გაუგებენ, დასცინებენ, თქვე ქოცებოო. ჰოდა, უნდათ ეხლა ქოცობა და ეგეთი რაღაცები? წავლენ, მიტინგებზეც ივლიან, თუ სიტყვას მისცემენ, ზემოდან დასჭყივლებენ კიდევაც, მერე თეატრებში დაბრუნდებიან, იმ თეატრებში (ბიძინამ რომ გაურემონტა) სპექტაკლებში ითამაშებენ, ხმასაც ვერავინ გასცემთ, ეგღა აკლიათ, ვინმემ ბუზი აუფრინოთ. ჰმ... აუფრენენ და მერე ნახონ ამათ, პირდაპირ ჭუტას ტელევიზიაში, ან კიდე ჩაჯვის „მთავარში“ გამოაჭენებენ, დასხდებიან და ილაპარაკებენ, როგორ აწამებენ ადამიანებს ამ ქვეყანაში, როგორ ეხუთებათ სულები პლურალიზმის გარეშე. აგერ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იტანჯება მომღერალი თამარ ჭოხონელიძე „უდემოკრატიოდ“, როგორ განიცდის, რომ ბიძინა ივანიშვილმა ასერიგად გაუცრუვა იმედები. მერე რა, რომ იმავე ივანიშვილმა, როგორც ოჯახის მეგობარსა და ნათელ-მირონს აგარაკი უყიდა, მთელი ცხოვრება მისი მონა ხომ არ იქნება?

ეს ქალი შეიძლება უმადურობის განსაკუთრებულ მოვლენად (ნიმუშად) ჩაითვალოს - იყო დრო, სანამ ქმარს იყო გაცილებული, თავს მიწამდე ხრიდა, ივანიშვილსაც იცავდა და ხელისუფლებასაც, შეურიგდა წლობით გაყრილ „ნაციონალ“ როინიშვილს და ეგრევე თვითონაც „განაცდა“, აშკარად შერიგების სანაცვლოდ ხელწერილი დააწერინეს, რომ ამ კაცზე კარგს აღარაფერს იტყოდა. რაც შეეხება ძვირადღირებულ ქონებას... ნუ, ეხლა, ბოლო-ბოლო, ამხელა მომღერალი, ამხელა „კლასიკოსი“ საგურამოში ერთ ძლინკიან აგარაკს არ იმსახურებდა? რა, წაართვა თუ დააყაჩაღა? აიძულა? იმან თვითონ უყიდა თავისი სურვილით... აი, მაგალითად, როგორც მამუკა ჩარკვიანი და დავით ზურაბიშვილი გადაარჩინა, თქვენ გგონიათ, ამათ აიძულეს? არა, იმან თვითონ ამოიჩემა, გინდათ თუ არა, მამუკას და დავითს სიცოცხლე უნდა ვაჩუქოო. რავი, ესენი ეგრე ჰყვებიან, ჩვენ არაფერი გვითხოვია, თვითონ გაისარჯა, ეხლა მონებად ხო არ დავუდგებითო? ისე, ჩვენში დარჩეს და ვის რა ფეხებად უნდა ამათი მონობა?!

უი... არ გამომრჩეს, გიგა ბოკერიას მშობელ დედაზე (ნანა ალექსანდრიაზე) უნდა მოგახსენოთ უთუოდ, ეგეც ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლად ითვლება და ივანიშვილისგან 1000 ლარს იღებს ყოველი თვის ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მთელი ოჯახი ამ კაცის მტერია, ფულსე უარს არ ამბობს. ასეთივე ქმედებებს სჩადიოდა წლების განმავლობაში ცხონებული ჯულიეტა ვაშაყმაძე, ე.წ. ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას დედა.

ესენი იქით იყვნენ... მე ამჯერად ვლაპარაკობ არა ხილულ მტრებსა და სააშკარაოზე გამოსულ ე.წ. პოლიტიკოს-ინტელიგენტებზე, არამედ ჩირგვებში ჩაცუცქულ მუშაკებზე. დიახ, დროა, ამათ ვუწოდოთ არა ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ კულტურის, სპორტისა და მეცნიერების მუშაკები. აი, უბრალოდ მუშაკები!

სხვათა შორის, საქართველოში არა მხოლოდ ინდივიდუალური პიროვნებები სცოდავენ, უფრო მეტად სცოდავენ ორგანიზაციები, რომლებიც წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის ჯიბეზე არიან ჩამოკიდებულები და საკმარისია, რამე შეფერხება იყოს, ეგრევე ტელევიზიებით დაუწყებენ გინებას. სხვათა შორის, ორიოდე თუ სამიოდე წლის წინათ მოხდა ასე, როცა თეატრების მსახურებმა ერთი ამბავი ატეხეს - არიქა, ამ კაცმა სტიპენდიები რა უფლებით შეგვიწყვიტა, წინასწარ მაინც არ უნდა გავეფრთხილებინეთო? თან ლანძღეს, თან თათხეს, მერე აღმოჩნდა, რომ შეწყვეტის ამბავი ტყუილი იყო და ჩაჩუმდნენ. დიახ, ჩაჩუმდნენ, გაისუსნენ, ბოდიში კი არც ერთს არ მოუხდია. არა, იქნებ ბიძინა ივანიშვილს საერთოდაც არ სჭირდება ამათი განცხადებები და სამადლობელი წერილები, მაგრამ როცა კაცზე ასეთი შეტევები ხორციელდება, როცა ქვეყანას, ხელისუფლებას მანქურთები ეჭიდავებიან, გინდათ თუ არა, ომში წაგვეხმარეთო, თუ ადამიანი ხარ, თუ სამშობლო ფეხებზე არა გკიდია, ხომ უნდა გამოხვიდე და კაცურად თქვა: თქვენა, ხალხო, რეებსა სჩადიხართ, შიგ ხომ არა გაქვთ?!

როცა ბიძინას შენი სიჩუმით სამარეს უთხრი, გამოდის, რაღაცა მოგაკლდა. თუ იმ პირსისხლიანების მობრუნება გინდა, ესე იგი, მაშინ ორმაგი სტანდარტით ცხოვრობდი, იქიდანაც ხეირი გქონდა და აქედანაც, ანუ ივანიშვილისგანაც. ახლა რომ იმ ხეირსა და ამ ხეირს ერთმანეთს ატოლებ, ალბათ მაშინდელი უფრო მეტი იყო. აბა, სხვანაირად როგორ იქნება? ჩემი დაკვირვებით, დღეს ისეთი ხალხია გაყურსული, ღმერთმა ნუ ქნას (ეგ არ იქნება, მაგრამ მაინც), ის უჯუშოთა ჯოგი მობრუნდეს, წესით, უფრო ბევრი აქვს დასაკარგი, ვიდრე იმ ადამიანებს, ვინც თავგამოდებით იბრძვის და ამავე დროს ბიძინა ივანიშვილისადმი მადლიერებას გამოხატავს.

და ბოლოს... ვინც დღეს დუმს და ვინც დღეს ჩირგვებშია ჩაცუცქული, ის უფრო საშიშია, ვიდრე რუსთაველის პროსპექტზე მდგარი ტუპლეტი, ყველის ვაჭარივით რომ იკრიჭება. ამჯერად თავს ვიკავებ, ორგანიზაციებსა და პიროვნებებს არ ვასახელებ, თუ იგივენაირი პოლიტიკა გაგრძელდა, შემდგომში ნამდვილად მომიწევს ჩაირგვებში ჩაცუცქულთა წამოყრა და სულ სათითაოდ გაწკეპლვა!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ჩვენ არა ვართ უმადური ერი – ეს ჯილდო იქნება მადლიერების გამოხატულება ქართველი ხალხისგან ბიძინა ივანიშვილისადმი

გვესაუბრება ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა

— ნინო, თქვენ საინტერესო ინიციატივა წამოაყენეთ სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილისთვის ღირსების ორდენის მინიჭების თაობაზე. ფეისბუქში წერდით, რომ თქვენს ამ მშვენიერ წამოწყებას დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. რა წინააღმდეგობებს გულისხმობდით?

— დაახლოებით ორი თვის წინ, როცა დაიწყო აქტიური ბულინგი ბიძინა ივანიშვილზე, საუბრობდნენ ტელევიზიებში, რომ მასზე უნდა დაწესებულიყო სანქციები, გაყინვოდა ანგარიშები და ა.შ. გამიჩნდა სურვილი, რომ, როგორც ერთ მოქალაქეს, ერთ ჟურნალისტს, გამომეყენებინა საქართველოს კონსტიტუციით მონიჭებული უფლება და დამესვა საკითხი: მადლიერების ნიშნად ქართველი ხალხისგან, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მინიჭებოდა ღირსების ორდენი.

იმის მიუხედავად, რომ ვიღაცას არ მოსწონს, ვიღაცას ეჯავრება ბიძინა ივანიშვილი, მას ხალხის სიყვარული აქვს, ის უყვარს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დიდ ნაწილს.

ადამიანმა, რომელმაც სამების ტაძარი ააშენა, სამი მილიარდი დახარჯა ამ ქვეყნისთვის, უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, დიდძალი ქველმოქმედება. გახსოვთ ალბათ ხეების გადატანის პროცესი რომ იყო — ხეები მოთხარა, სად მიაქვს, რატომ მიაქვს, იყო ერთი გნიასი, მაგრამ, საბოლოოდ, სად წაიღო ეს ხეები? — გააკეთა დენდროლოგიური პარკი, მსოფლიოში დენდროლოგიური პარკების ხუთეულში რომ შედის, ისეთი პარკი გააშენა და ვინ გაისეირნა პირველად ამ პარკში? ისევ იმათმა, ხეების გადატანაზე რომ გლოვობდნენ — „ნაცმოძრაობის“ წევრები შევარდნენ პირველები და ისეირნეს. მაგრამ ამაზე არ მაქვს ახლა საუბარი, ივანიშვილმა ის პარკი და ბევრი სხვა რამ საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის და ჩვენი ქვეყნის სტუმრებისთვის გააკეთა და უნდა იარონ, ისეირნონ, დაისვენონ, მაგრამ ეს ხომ იყო პროვოკაცია, ხომ იყო ხელის შეშლა, ხომ არის ეს ღალატი?!

ამიტომ და კიდევ ბევრი რამის გამო მას ეკუთვნის ღირსების ორდენი ქართველი ხალხისგან.

ბიძინა ივანიშვილი ახლოდან სულ ორჯერ მყავს ნანახი, არც მისი მილიონები შემხვედრია, როგორც რესპუბლიკურ პარტიას, როგორც ნინო ჯანგირაშვილს და მის „კავკასიას“, 2 მილიონი რომ აჩუქა 2012 წელს, ტელევიზიის გასაძლიერებლად მისცა ეს თანხები, სოროში რომ იჯდა ტელევიზია და დღეს ყველა ვხედავთ, იგივე რესპუბლიკური პარტია და იგივე „კავკასია“ როგორი გამწარებით ებრძვიან შემხიდებელს, ფეხზე დამყენებელს.

მე არა ვარ უმადური, არ ჩემი ქართველი ხალხია უმადური, ამიტომ ხმამაღლა უნდა ვუთხრათ მადლობა ამ ადამიანს.

ამიტომაც ჩემს საინფორმაციო სააგენტო „იქს ნიუსზე“ შევქმენი პეტიცია და ინტერნეტის საშუალებით, ვისაც სურვილი ექნებოდა, შეეძლო დაეფიქსირებინა თავისი თანხმობა. დღენახევარში 4000-მდე ხელმოწერა შეგროვდა, მაგრამ მოულოდნელად გაჩნდა ყალბი ფეისბუქ-გვერდები, რომლებმაც დაიწყეს სიბინძურეების წერა, რითაც პეტიციამ დაკარგა თავისი ფუნქცია და მომიწია გაუქმება, იმდენად საშინელი კომენტარები იწერებოდა ფეიკ-გვერდებიდან. ამასობაში „ტვ პირველი“, იგივე „ჭუტავიზია“, დაინტერესდა ამ თემით და მოინდომეს სიუჟეტის გაკეთება. თავიდან არ მინდოდა კომენტარის გაკეთება, მით უმეტეს, იმ ტელევიზიიდან, მაგრამ ისინი ხომ სახლში შემოვარდნის პრინციპით მუშაობენ და ერთ დღეს, სისხამ დილაზე, დამირეკეს. ვერც წარმოვიდგენდი, ამ კომენტარისთვის თუ დამირეკავდნენ. მოკლედ, მკითხეს: რატომ უნდა მინიჭებოდა ბიძინა ივანიშვილს ღირსების ორდენი, რატომ ვთქვი მე ეს და მისთანები. მე, რა თქმა უნდა, ჩამოვთვალე, რატომაც ეკუთვნოდა მას ეს ჯილდო. არ მსიამოვნებდა მათთან საუბარი, თუმცა შევეცადე, დეტალურად მეთქვა ყველაფერი, დამესაბუთებინა, რატომ იყო ივანიშვილი ამის ღირსი. დიდხანს ვილაპარაკე, მაგრამ მთლიანი ტექსტი არ გაუშვეს — გავიდა სიუჟეტი: ნინო ჯღარკავა თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილი იმსახურებს ღირსების ორდენსო. ამ სიუჟეტს მოჰყვა ჩემი ფეისუბქ-გვერდის დაბლოკვა და შეჩერდა პროცესი, მოკლედ, მავანი ყველანაირად შეეცადა, რომ არ გაგრძელებულიყო ეს საკითხი.

ერთი თვე ვიყავი სოციალური ქსელიდან მოწყვეტილი, ვისგან არ ვიცი, თუმცა, ჩემი აზრით, ეს იყო თამარ კინწურაშვილის სამსახურის „დამსახურება“. ეს ის ხალხია, რომლებიც თვლიან, რაც არ მოეწონებათ, უნდა დაბლოკონ.

— „საერთო გაზეთის“ ფეისბუქ-გვერდიც ხშირად იბლოკება, რამდენჯერ ვცადეთ, მაგრამ ვერ გავარკვიეთ, ვინ „გვერჩის“. თქვენ ამბობთ, რომ ეს თამარ კინწურაშვილის სამსახურია, მაგრამ სად არის აქ სიტყვის თავისუფლება?

— არსებობს სამსახური, არიან ჯგუფები, რომლებიც მათთვის პოლიტიკურად არასასურველ ინფორმაციას ასაღებენ ბულინგად, საზიანო მოწოდებად, სიძულვილის ენად და ამის საფარველქვეშ ბლოკავენ ჯანსაღ აზრს.

სიტყვის თავისუფლება თითქოს მხოლოდ ნაცნარჩენებისთვის იყოს დასაშვები, ტელეეკრანებიდან გვაგინებენ. „შესანიშნავად“ აკეთებდა ამას ნიკა გვარამია, ყველას გვახსოვს, პირდაპირ ეთერში როგორ ბილწისტყვაობდა.

ჯერ ერთი, რატომ უნდა იგინონ და იფურთხონ ეთერში საზოგადოების წამომადგენლებმა, მაგრამ რომ მოხდარიყო ისე, რომ ჩვენ, „ქართული ოცნების“ მომხრეებს, მსგავსი სიტყვებით გველანძღა ოპოზიცია, სამუდამოდ შეჩვენებული, დაბლოკილი და ეშაფოტზე აყვანილი ვიქნებოდით.

ერთი სიტყვით, მე გაჩერებას არ ვაპირებ. ვიბრძოლებ, რომ ეს ორდენი სიმბოლურად ქართველი ხალხისგან მიიღოს ბიძინა ივანიშვილმა.

მე მყავს ქალბატონი პრეზიდენტი ფეისუბუქის მეგობრებში. ის ჩემი აქტიური მკითხველია, როცა საჭიროდ თვლის, პირადადაც მწერს სოციალურ ქსელში და ჩემს პოსტებზეც აკომენტარებს, მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „შემჩნეული“ ვყავარ. მან ნახა ჩემი ინიციატივა ფეისბუქში და შეეძლო ამ თემის მიმართ ყურადღება გამოეჩინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც იმ უმადურ ადამიანთა სიაშია, რომლებიც ვერ ხედავენ სიკეთეს.

მაპატიოს ქალბატონმა სალომემ, ის საპენსიო ასაკშია და ამ პერიოდში, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ამხელა პოსტს თუ დაიკავებდა, მაგრამ აღმოჩნდა ის პრეზიდენტის სავარძელში და ჩვენდა სამწუხაროდ, ისიც უმადური გამოდგა. ქალბატონი სალომე მეორე პრეზიდენტია, რომელიც ხალხის ხმას მაინცდამაინც

დიდ ყურადღებას არ აქცევს...

შეცდომას ყველა ვუშვებთ, გამონაკლისი არც ბიძინა ივანიშვილია, ისიც შეცდა „პრეზიდენტებში“... ამასწინათ ვთქვი კიდევაც, კეთილ და წესიერ ადამიანებს მოსდით ისე, რომ, რასაც თავად არ ფიქრობენ და ვერასდროს ვერ გააკეთებენ, ჰგონიათ, სხვაც ვერ და არ გააკეთებს-მეთქი, ასე მოუვიდა ბიძინა ივანიშვილსაც...

— მას შემდეგ, რაც „საერთო გაზეთშიც“ გამოჩნდა თქვენი ინიციატივის შესახებ, უამრავი მოქალაქე რეკავს და მოდის რედაქციაში, რომ თავისი დასტური ხელმოწერით დაამტკიცოს. მათი კონსოლიდაციაა საჭირო. რას აპირებთ ამ მიმართულებით?

— სამუშაო პროცესში ვარ. უნდა მოვიძიო კანონში შესაბამისი მიმართულება, ვის უნდა მივმართოთ — პარლამენტს თუ პირდაპირ პრეზიდენტს. დავაზუსტებ ყველაფერს. გავარკვევთ, ჯერ პარლამენტს უნდა წარვუდგინოთ მოთხოვნა და შემდეგ ის მიაწვდის ხმას პრეზიდენტს, თუ რა საფეხურებია გასავლელი.

ყველასთვის ცნობილია თქვენი გაზეთის დამსახურება და პოზიციები, ვიცი თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ, თქვენი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ხარჩილავა დიდ საქმეს აკეთებს, ძალიან დიდ პატივს ვცემ მას ამისთვის და არა მარტო მე, საზოგადოების დიდი ნაწილიც. ვფიქრობ, თქვენი გაზეთიც გაიზიარებს ჩემს ამ ინიციატივას და ერთობლივად მივაღწევთ, რომ ამ ფორმით ვუთხრათ მადლობა ბიძინა ივანიშვილს.

— ხელმოწერების დაფიქსირება მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით იქნება შესაძლებელი?

— ინტერნეტითაც იქნება შესაძლებელი და პირადადაც. ვაპირებთ, მეტროსადგურებთან გავხსნათ პატარა წერტილები მოქალაქეებისთვის თავიანთი სურვილის დასაფიქსირებლად. ყველაფერს შევატყობინებთ საზოგადოებას, შევატყობინებთ მთელ მსოფლიოს, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური. ეს ჯილდო, მადლიერებასთან ერთად, კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იქნება ქვეყნის შიდა და გარე ჩასაფრებული ოპოზიციური ძალებისთვის, რომ საქართველოს უყვარს და პატივს სცემს ადამიანს, რომელმაც 9-წლიანი ჯოჯოხეთისგან გაგვათავისუფლა. ამით კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ, რომ ჩვენი არჩევანი არ არის ბოროტება და დაპირისპირება, ჩვენი არჩევანი არის სიკეთე და მადლიერება და გამოვხატავთ პატივისცემას ერისკაცისადმი, არ მერიდება ამ სიტყვების, სიცოცხლეშივე ისტორიის კუთვნილებისადმი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში წავიკითხეთ ქალბატონი ნინო ჯღარკავას ინიციატივა ჩვენი ქვეყნის დიდი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილისათვის ღირსების ორდენის მინიჭების თაობაზე. როგორც იტყვიან, ორივე ხელით მივესალმებით ქალბატონი ნინოს ამ ინიციატივას და მიგვაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილს არა მხოლოდ ღირსების ორდენი, არამედ ყველა ორდენი ერთად ეკუთვნის, რაც კი პატრიოტი და ვაჟკაცი ქართველი კაცებისთვის არის შექმნილი.

პატივისცემით,

მურმან კუბლაშვილი, მათემატიკოსი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: 599 62 67 29
ზურაბ სამხარაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი: 599 54 67 03
დავით ლომთათიძე, ელექტრომექანიკოსი: 599 49 49 37
რევაზ ჭიკანაშვილი, ინჟინერი: 591 97 03 35
მამუკა გელაშვილი, ომის ვეტერანი: 558 60 90 29
თამაზ შათირიშვილი, ინჟინერი: 551 39 29 90

მთავარი დამნაშავე

შევარდნაძემ საქართველო მიზანმიმართულად დააქცია, ბოლოს კი ჯალათად სააკაშვილი დაგვიტოვა

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენეთ: 9 აპრილი ედუარდ შევარდნაძის მოწყობილიაო.

— დიახ, ასეა. თქვენი ნებართვით, თავდაპირველად, გეტყვით: დავა არ სჭირდება იმას, რომ დღევანდელი ქართული სულიერება დისკრიმინაციას განიცდის — უზნეობა უფრო მოჭარბდა, ვიდრე ზნეობა. ჩვენი დაცემა სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაანგრიეს, მოსპეს. ეროვნულ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, გარე და სამწუხაროდ, შიდა ძალებმაც შეუტიეს, რომლებიც გარკვეულ სტრუქტურებს ექვემდებარებოდნენ. დიახ, ორმხრივი შეტევა ხორციელდებოდა — აშშ-ს მხრიდან, რომელსაც ერთიანი იმპერიის შექმნა და მისი მმართველობა სურდა და საბჭოთა კავშირის მხრიდანაც, რომლის ინტერესში ეროვნული ხელისუფლებების გაცოცხლება არანაირად არ შედიოდა. დიახ, აშშ-ც და საბჭოთა კავშირიც, ორივე, საქართველოს უტევდა, რაც დღემდე გრძელდება. პირადად, გახლავართ მოწმე, თვითმხილველი თუ როგორ მოხდა საქართველოს დამხობა —ზემოთ ნახსენებმა ძალებმა — აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა, შიდა ძალებთან — ე.წ. კულტურულ, მაღალი დონის ინტელიგენციასთან ერთად ქვეყანას შეუტიეს. მათ, საქართველოს დამოუკიდებლობა, აბსოლუტურად, არ აინტერესებდათ. ახლა, კონკრეტულად თქვენს კითხვას მივუბრუნდეთ. ედურად შევარდნაძემ ქვეყანა ორჯერ გაანადგურა. პირველად, იგი, ხელისუფლებაში დამხობის, რევოლუციის, იარაღის გზით მოვიდა, ხოლო მეორედ, უკვე, დამხობილ ქვეყანაში თეთრ რაშზე ამხედრებული მოგვევლინა. არაერთი ფაქტის მომსწრე გახლავართ, ამიტომ, თამამად შემიძლია ვთქვა: როცა თბილისში 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა, ამაში, გარკვეულწილად, პოლიტიკური ინტერესები იყო ჩართული. რა როლი შეასრულა ამ უბედურების დატრიალებაში შევარდნაძემ? — მივყვეთ, მოვლენებს და პასუხიც ნათელი გახდება. ახლა, მოდაშია ოლიგარქიაზე საუბარი და მთავარ ოლიგარქობას ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ. მე კი გეტყვით, რომ შევარდნაძის და სააკაშვილის ბუნება, პირველ რიგში, სწორედ რომ ოლიგარქიულია. დიახ, სწორედ ოლიგარქიული ბუნების ადამიანები როგორიც შევარდნაძე გახლდათ და როგორიც სააკაშვილია, ისწრაფვიან ჯერ თვითგამდიდრებისკენ და მერე, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ეს არის მათი მთავარი მიზანი, რაც ორივე შემთხვევაში თვალნათლივ გამოიკვეთა. მთავარი, რაც მაშინ თვალში მომხვდა, ეგორ ლიგაჩოვის წიგნში წაკითხული ფრაზა იყო. იგი, წერდა: ჩვენს სისტემაში თუ ვინმე დაწინაურებას მოინდომებდა, მას, აუცილებლად, პირფერობისთვის უნდა მიემართა. ეს ყველა ჩვენგანს ახასიათებს. თუმცა, ისეთი პირფერი როგორიც შევარდნაძე იყო, არავინ მეგულებაო. ლიგაჩოვს, ამავე, წიგნში მაგალითებიც მოჰყავს: შევარდნაძეს გორბაჩოვის სურვილის წინააღმდეგ ხმა არასდროს ამოუღია. როცა 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა, რასაც 21 ახალგაზრდას სიცოცხლე შეეწირა, 427 კი დაშავდა, თურმე მანამდე ედუარდისთვის უთხოვიათ: იქნებ, საქართველოში ჩამოხვიდეთო, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. არ ვიცი, რა იყო მიზეზი — ის, რომ არსებულ სიტუაციას ვერ მოერეოდა თუ ის, რომ მას საქართველოში ასეთი არეულობა, რევოლუციური მდგომარეობა აწყობდა. ლიგაჩოვის თქმით, სწორედ ამიტომაც განაცხადა შევარდნაძემ საქართველოში ჩამოსვლაზე უარი. მივყვეთ, მოვლენებს. როდიონოვი შემოვიდა და ქართველი ხალხი ამოწყვიტა. თუმცა, აქვე, ერთ პარალელს გავავლებ: როდიონოვსაც კი არ ჩაუდენია ის, რაც 26 მაისს მიხეილ სააკაშვილმა განახორციელა — გზები ყოველმხრივ გადაკეტა, რათა ხალხს გასვლის საშუალება არ მისცემოდა და რუსთაველზე სისხლის გუბეები დააყენა. როდიონოვს გზები მაინც არ გადაუკეტავს. თუ შეიძლება ასე ითქვას: იგი უფრო „ჰუმანურად“ მოიქცა, ვიდრე სისხლისმსმელი სააკაშვილი. მაშინ, როცა საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალისმიერი, სისხლიანი დარბევა მოხდა, პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი გახლდათ. მას, როდიონოვისთვის უკითხავს: სისხლი ხომ არ დაიღვრებაო. არა, პირიქით, მომიტინგეებს მშვიდობიანად დავშლითო — მიუგო, თურმე როდიონოვმა. თუმცა, რაც მოხდა, ყველამ ვიცით — 9 აპრილი ქართველებისთვის ტრაგიკულ დღედ იქცა. თუმცა, აქვე, ერთი უმნიშვნელოვანესი რამეც ნუ დაგვავიწყდება — სწორედ ამ დღემ განაპირობა საქართველოსთვის თავისუფლების მოპოვება. რა თქმა უნდა, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ადამიანები უნდა ვიგლოვოთ, მათ ხსოვნას პატივი ვცეთ, მაგრამ ისიც გვახსოვდეს: რომ არა ეს დღე და ქართველი ხალხის თავგანწირვა, დამოუკიდებლობას ვერ ვეღირსებოდით. ყოველივე ამას, შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა მოჰყვა. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ დაატარებდა შევარდნაძე პატიაშვილს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში: „მწერალთა კავშირში“, „მეცნიერებათა აკადემიაში“, უნივერსიტეტში და ჯუმბერს აიძულებდა ეთქვა, რომ 9 აპრილის მოწყობა მისი ბრალი იყო. ანუ, იგი 9 აპრილის მოწყობას პატიაშვილს აბრალებდა. აი, აქეთკენ იყო შევარდნაძის მცდელობა მიმართული.



— რატომ ცდილობდა შევარდნაძე 9 აპრილის ტრაგედიის პატიაშვილისთვის გადაბრალებას. რა იყო ამის მიზეზი?

— მიზეზი გახლდათ ის, რაც ჩემი მეგობარი მწერლებისთვის შევარდნაძეს თავად ჰქონდა ნათქვამი: ვისაც ხელი ჩამოვართვი, ჯუმბერ პატიაშვილმა ყველა დაიჭირაო. შედეგად, მას ანგარიში გაუსწორა. აი, ასეთი კაცი გახლდათ შევარდნაძე. სწორედ, ამ პერიოდიდან იწყება საქართველოთი მისი დაინტერესება. შევარდნაძემ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ვერ აპატია. მოსყიდულმა ძალებმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო, ეროვნულ ხელისუფლებას სასტიკად გაუსწორდა. პირადად, მე, ჩემი თვალებით ვნახე და საკუთარი ყურებით გავიგონე, რა უთხრა (იქ, ვიმყოფებოდი, როცა დარეკა) ჩემს მეგობარს — ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს ედუარდ შევარდნაძემ: რას შვებით, რატომ არ უტევთ, რატომ აგრძელებთ ამ ბრძოლას, სასწრაფოდ, მიიყვანეთ საჯარისო დანაყოფები და ის ციტადელი დაანგრიეთ, სადაც ზვიად გამსახურდია იმყოფება და ე.წ. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოც ზედ მიაყოლეთო. ეს ჩემი ყურით რომ არ მქონდეს მოსმენილი, არაფერს ვიტყოდი. აქ, უკვე, გამოკვეთილად ჩანს, რომ შევარდნაძე ნამდვილად მოდიოდა საქართველოში. ბევრი მისი აქ, ჩამოსვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჯაბა იოსელიანმა მოინდომა და მას ზარ-ზეიმით დახვედრაც მოუწყო. შევარდნაძე მოვიდა როგორც უკვე გამდიდრებული კაცი. მას კავშირები ჰქონდა ახლო-აღმოსავლეთში უზბეკეთთან, ტაჯიკეთთან, ყირგიზეთთან და ა.შ. შევარდნაძის მოღვაწეობის პირველ პერიოდს რომ ვიხსენებ, იგი, ვითომ, თავმდაბალია, არავის უპირისპირდება, ყველანაირ შეურაცხყოფას იტანს, მათ შორის, კიტოვანისას. შევარდნაძემ გონივრულად მოახერხა მხედრიონის განიარაღება და სახელმწიფოს მართვა თავისუფლად დაიწყო. თავდაპირველად, როცა აქ, მოვიდა, იგი, ჯდებოდა არა ლოჟაში, არამედ დარბაზში და ამით, ვითომ, ჩვეულებრივ ხალხს ეუბნებოდა: მეც თქვენი დარი ვარო. აქვე, შეადარებისთვის გავიხსენოთ, მისი მოწაფე. სააკაშვილი როცა ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, საზოგადოებრივი ტრანსპორტით — მეტროთი, ავტობუსით მგზავრობდა და ხალხს უმტკიცებდა: თქვენიანი ვარო. აი, ეს არის ოლიგარქიის გამოხატულება. შევარდნაძემ საქართველოს, ქართული ცნობიერების, ეროვნების მოსპობა დაიწყო. ბევრი წიგნი მაქვს დაწერილი იმის შესახებ, თუ რას სჩადიოდა ეს პიროვნება. ჩემი პირველი წიგნი, რომელიც შევარდნაძის „კაი კაცობას“ ეხება, გახლავთ „უკუნეთი“. მაშინ, როცა შევარდნაძეს ეგონა, რომ ვარსკვლავებს წყვეტდა, მე, მისი მხილება დავიწყე. ყველა მისი ნაბიჯი გადადგმული იყო იქეთკენ, რომ საქართველოში ქართველი კაცის ხსენება, საერთოდ, მომსპარიყო. ვერ დამისახელებთ ერთ ფაქტსაც კი, რომ მას სამშობლოსა და ერის დასაცავად ნაბიჯი გადაედგას.

— ბატონო ელიზბარ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, როგორ დავკარგეთ აფხაზეთი?

— აფხაზეთი შევარდნაძის პერიოდში დავკარგეთ. კიტოვანს ასი ჯაგლაგი, გარემონტებული ტანკი გადასცეს და 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში ქართული ჯარით შევიდა. ჰქონდა კიტოვანს მიღებული ბრძანება სოხუმში შესვლის შესახებ, თუ დამოუკიდებლად მოქმედებდა, ამის შესახებ, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები არსებობს. შევარდნაძე ამბობდა, რომ ეს კიტოვანის სურვილით მოხდა, მაგრამ რეალურად, ნებართვა შევარდნაძისგან მიიღო და აფხაზეთზე გავილაშქრეთ. აფხაზები დღესაც ამბობენ: ჩვენ, კი არ გვიპყრობდნენ, არამედ გვძარცვავდნენო. დიახ, ჩვენს გასაძარცვად შემოვიდნენ და ამიტომ გაათმაგებული წინააღმდეგობა გავუწიეთო. ომი ერთი წელი გაგრძელდა, როგორ დამთავრდა ყველამ ვიცით. მერე რა მოხდა? — შევარდნაძემ ხელი მოაწერა ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღებას — უკან დააბრუნა ქართველები, მათ კი, ისევ, ჩრდილო-კავკასიური ბანდა შემოესია და ეს უიარაღო ხალხი ჩახოცა.

— ისიც გავიხსენოთ, რა დღეში ჩავარდა ქვეყანა „მსოფლიო ბან-

კისა“ და „სავალუტო ფონდის“ აქ, შემოსვლით?

— დიახ, ომის შემდეგ, საქართველოში ყველაფერი გაიყიდა. უფრო სწორად, „მსოფლიო ბანკმა“ და „სავალუტო ფონდმა“ გაყიდეს. რომ შეძლებოდათ, ალბათ, ჩვენც გაგვყიდდენ! რკინა არ გვქონდა, ამიტომ ქარხნები პირწმინდად დაცალეს, ყველაფერი გაიტანეს და გაყიდეს. ამაზე დიდი აჟიოტაჟი არ ატეხილა იმიტომ, რომ ქარხნები ისედაც გაჩერებული იყო და ბევრმა ვერც გაიგო რა მოხდა. მერე, შეუდგნენ ხე-ტყის ჩეხვას და გაყიდვას, რასაც ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვა, ძალიან მძიმე პირობები შეიქმნა. ასეთი გახლდათ შევარდნაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდი. მერე, მახსენდება რა დღეში ჩააგდო შევარდნაძემ მეღვინეები. მათ უთხრა: გინდათ თუ არა, რამდენიმე ტონა ყურძენი და ღვინო უნდა გამოიყვანოთო. ამ დროს, ჩემი ძმა ბოლნისისა და მარნეულის მეღვინეობის გაერთიანების დირექტორი იყო. ცეკას მდივანმა დაიბარა და უთხრა: 80 ათასი ტონა ღვინო თუ ყურძენი უნდა ჩააბაროო. ჩემი ძმა წესიერი კაცი იყო და უპასუხა: მარნეულსა და ბოლნისში კი არა, მთელ საქართველოში არ შეიძლება ამდენი ღვინის მოგროვებაო. უთხრეს: მერე, არ იცი რა უნდა ქნა, სპირტი არ გაქვს, გაახავე და ღვინო გამოიყვანეო. რა თქმა უნდა, ჩემმა ძმამ ეს არ გააკეთა, საავადმყოფოში დაწვა და ამით გადარჩა. ვინც ვერ გადარჩა, ყველა მეღვინეს მოსდგნენ და შემდეგ, დაიჭირეს. შევარდნაძემ მკერდი გმირის ვარსკვლავით დაიმშვენა. მეღვინეები ზოგი გარბოდნენ, ზოგი დაიჭირეს და გაასამართლეს. აი, ასე იქცეოდა შევარდნაძე. მან შექმნა ე.წ შავი პოლკოვნიკები, რომლებიც ჩადენილ დანაშაულებს იძიებდნენ. მათ ინფორმაციას თავად აწვდიდა, მეგობრების დაჭერის გზით. რომელი ერთი უბედურება ჩამოგითვალოთ, რაც მის კისერზეა. ავიღოთ, თუნდაც თვითმფრინავის გატაცების საქმე. კი ბატონო, ბავშვები არასწორად მოიქცნენ, მაგრამ ისინი ხომ თავისუფლებისკენ ისწრაფვოდნენ. შევარდნაძემ მათი დახვრეტით, დაუნდობლობით გაიკეთა კარიერა და ამ გაკაფული გზით საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ამის შემდეგ რაც ხდება, უკვე, გითხარით — დამოუკიდებელი საქართველოს დამხობა და შევარდნაძის მეორედ მოვლინება. აქ, უკვე, თამაშდება სცენა — ვითომ, ედუარდი გადადგომას აპირებს, ხალხი უჩოქებს — არ დაგვტოვოო. ის გაიძახის: არა, უნდა წავიდეო, ამ დროს, თავგამოდებით იბრძვის, რომ დარჩეს. შედეგად, არჩევნებშიც იმარჯვებს. და რა ხდება? — მოდის ახალი თაობა — საკაშვილი და მისი ჯგრო, რომლებიც შევარდნაძესთან ბრძოლას იწყებენ. ამ უკანასკნელს, „მოქალაქეთა კავშირი“ მხარს უჭერს, მაგრამ საკაშვილმა იმძლავრა. შევარდნაძე ხვდება, რომ ძალაუფლება დაკარგა. ხელისუფლების შეცვლა რევოლუციით ხდება. საკაშვილი არჩევნებით კი არ მოდის, არამედ ძალადობით — პარლამენტში შევარდნით. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. მეორე დღეს როცა პარლამენტში საბუთების წამოსაღებად მივედი, დამლაგებელმა მაჩვენა ოთახი, რომელიც შპრიცებით იყო სავსე. ეს შპრიცების რევოლუცია იყო და არა ვარდების. ე.ი. მორფინისტები იქ, წინასწარ შევიდნენ და იქაურობა დააშთეს. ეს რუსეთის დასხვების მიერ დაქირავებული ხალხი შემოიჭრა და შევარდნაძე ძალით განდევნეს. სინამდვილეში, კი არ განდევნეს, სახლში თავად წავიდა. ასეთია ჩემს თვალსაწიერში შევარდნაძის მოღვაწეობა, რომელსაც „ღირსეული“ მეტოქედ სააკაშვილი გამოუჩნდა. სხვათა შორის, თავად, შევარდნაძე დიდათ განათლებული, წიგნიერი კაცი არ იყო, მაგრამ მან განათლებული ადამიანების ყადრი იცოდა, ყველასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა. მას გააზრებული ჰქონდა ცნობილი ფრაზა: თქვენ, შეგიძლიათ ეჩხუბოთ მეუღლეს, ოჯახს, მაგრამ განათლებულ ხალხს ნუ დაუპირისპირდებით, ასევე, კულტურის, მეცნიერების მოღვაწეს. შევარდნაძის დროს კორუფცია რომ ჰყვაოდა, ამით ახალს არაფერს ვიტყვი. თითქოს, შევარდნაძე ფულს არ იღებდა. თუმცა, პირადად, ვიცი ჩემი მეგობრისგან, რომელსაც ედუარდის მეუღლემ შეუთვალა: შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ერთი მილიონი ღირსო. შევარდნაძემ პირწმინდად გადაწვა, გადაბუგა მოედანი, სადაც ეროვნული ცნობიერების ბუჩქები იზრდებოდა. მის „მოსუფთავებულ“ გზაზე მოვიდა სააკაშვილი, რომელმაც უარესი დანაშაულობები ჩაიდინა, უფრო სწრაფი ნაბიჯებით გაანადგურა საქართველო, ვიდრე ეს შევარდნაძემ შეძლო.

— ბატონო ელიზბარ, დასაწყისში ახსენეთ, შევარდნაძე და სააკაშვილი იყვნენ ოლიგარქებიო.

— დიახ, ასეა. თუმცა, ამ ჩვენს ე.წ. ოპოზიციას დაუჩემებია ივანიშვილია ოლიგარქიო. სირცხვილია, ვინ ამბობს, ამას! ესენი ოპოზიცია კი არ არიან — არც რადიკალური და არც არარადიკალური, არამედ ქვეყნის, სამშობლოს მტრები. არსებობს

მტერი, არსებობს მოყვარე. არსებობს ხალხი, ვისაც უყვარს საქართველო და ვისაც ეზიზღება. რა პოლარიზაციაზე ვლაპარაკობთ, ამათთან ერთად ყოფნა საერთოდ არ შეიძლება! ახლა, კოდალას რომ ჰგავს, დეგნანს დაუწყეს დაცვა! დამისახელეთ, ამერიკის რომელი ელჩი გარჯილა საქართველოს, ქართველი ხალხის სურვილების დასაკმაყოფილებლად. გავიხსენოთ, რას აცხადებდა ჯონ ტეფტი, რიჩარდ მაილსი: როგორ შეიძლება საქართველოში ქრისტიანობა ასე მაღალ საფეხურზე იდგეს; ეს რა უბედურებაა, ქართველი ერის 80% ქრისტიანული რწმენის მატარებელიაო. დეგნანისგან რაღა გვიკვირს?! მადლობა ღმერთს, ხელისუფლებამ ქართველი ხალხის სასიკეთოდ ხმა ამოიღო და თქვა: ჩვენ ვიცავთ ქართველი ხალხის ინტერესს და არა ევროპისასო. რა ევროპაზე, რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი? ჩვენ, თითქოს, ახალ ოლიგარქიაზე ვლაპარაკობთ მაშინ, როცა ეს ჯერ კიდევ პლატონს აქვს თავის ფილოსოფიაში ახსნილი. პლატონი ასახელებდა 5-მდე წყობას, მათ შორის, მთავარი ოლიგარქიული და ტირანული სახელმწიფოს ურთიერთობა იყო. ოლიგარქია და ტირანია ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ ერთმანეთს ღუპავენ. ოლიგარქია ნიშნავს ქონებრივი სიმდიდრის გადაცემას, რაც შევარდნაძეს ჰქონდა, დემოკრატია კი თავაწყვეტილ თავისუფლებას, რაც საზოგადოებაზე უარყოფითად მოქმედებს. დღეს, ჩვენ, ვებრძვით იმ კაცს, რომელმაც საქართველოს სიყვარულს შეალია ყველაფერი, მათ შორის, საკუთარი ფინანსები. მე, ივანიშვილისთანა ქველმოქმედი, მსოფლიოში, იშვიათად, მეგულება. ესენი კიდევ, ამ დროს, სააკაშვილის წესიერებაზე, პატიოსნებაზე საუბრობენ, რომელმაც მიწასთან გაასწორა საქართველო, ქართველი კაცი გააუპატიურა, გაძარცვა, დედები აატირა, ისეთი რაღაცები ჩაიდინა, რაც ჰიტლერსაც კი არ მოჰფიქრებია. მას ხალხი გასაგუდად მიჰყავდა გაზის კამერაში, მაგრამ ეუბნებოდა: აბანოში მიმყავხართო, სააკაშვილი კიდევ ადამიანებს გაუგონარი წამებით კლავდა. აი, ეს არის შედეგი სწორედ იმ პოლიტიკის, რასაც შევარდნაძე ატარებდა. ახლა, გვეუბნებიან: ევროპარლამენტის რეზოლუცია უნდა შეასრულოოთო. რასაც ამ 300-მა ევროპარლამენტარმა ხელი მოაწერა, ეს არის სირცხვილი. დღეს ის ევროპა აღარ არსებობს, რომელსაც წიგნიერი ხალხი იცნობს. ის ევროპა დიდი ევროპაა, მაგრამ ამერიკამ და სხვებმა ევროპული კულტურა გადათელეს. დღეს ევროპულ კულტურაში რა არის მთავარი? — არა ადამიანის ღვთიური, არამედ მაიმუნური წარმოშობა. ამიტომ, მაიმუნი რომელიც უფრო მეტად თავისუფალია და შეუძლია დედასთან, დასთან იცხოვროს, ის უფრო ბედნიერად მიაჩნიათ, ვიდრე ადამიანი, რომელიც ზნეობის, მორალის ფარგლებში იქცევა. აი, რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა შევარდნაძემ.

— მოდით, ისევ შევარდნაძეს დავუბრუნდეთ. სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებზე რას გაიხსენებდით?

— შევარდნაძისთვის მთავარი იყო ძალაუფლება ხელიდან არ გაეშვა. მხედრიონი სამეგრელოში წესრიგს კი არ ამყარებდა, არამედ გაოგნდებით ისეთ რაღაცებს სჩადიოდნენ. ადამიანს კლავდნენ და მერე, ბოდიში მომითხოვია, ასოს აჭრიდნენ და პირში უდებდნენ. აი, ასეთ სისასტიკეს, დამამცირებელ აქტებს სჩადიოდნენ. ეს სწორედ შევარდნაძის ხალხი იყო. ამას მეგრელი კი არა, ზოგადად, ქართველი კაცი ვერ მოითმენს. მე, ვწერდი ამ ნაძირლების სისასტიკეზე და მხედრიონი მიჩიოდა — არასწორად წერს და ჩვენ მას გავუსწორდებითო. ბოლოს, აღარ გამისწორდნენ. მე, არცერთი ნაბიჯით უკან არ დამიხევია, ვიცოდი, რომ მათი ბრძოლა იყო არა საქართველოს გადასარჩენად, არამედ მის გასანადგურებლად. რაც შევარდნაძის ხელდასმით სამეგრელოში ჩაიდინეს, ყოვლად მიუღებელია. ასევე, როგორ მოკლეს ზვიად გამსახურდია. შევარდნაძეს უტხრეს: ჩვენ, შეგვიძლია ზვიადი ავიყვანოთ და ჩაგაბაროთო. მან უპასუხა: მე, ცოცხალი გამსახურდია არ მჭირდებაო. ამიტომაც, როგორც ირკვევა და დიდი ხანია გარკვეულიც არის, გამსახურდია მათ წამებით მოკლეს, გააფორმეს ისე, ვითომ, თავი მოიკლა. აი, ასეთი უსამართლობების, სიბინძურეების დიდოსტატი იყო შევარდნაძე. მისი მოწაფე — სააკაშვილი ორმაგს აკეთებს. შევარდნაძე თუ ერთ კაცს კლავდა, მიშას სამი-ოთხი „ტრუპი“ უნდოდა. აი, ასეთი ქვეყანა დაგვიტოვეს. დღეს, მადლობა ღმერთს ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე მათ ქმედებებს გმობენ. განა, გასაკვირია, დეგნანი „ქართულ ოცნებას“ კი არა, არამედ ამ ნაძირლებს რომ უჭერს მხარს. აშშ-ს უნდა საქართველოში ისეთი ხელისუფლება მოვიდეს, რომელიც მათი მონა-მორჩილი იქნება. რატომ გაუშვეს ღარიბაშვილი პირველად პრემიერ-მინისტრობიდან? — იმიტომ, რომ მან თქვა: ოჯახი არის ქალი და კაცი; ნაცები არიან ნაძირლები, მათთან საუბარი არ შეიძლება და რაც მთავარია, ქართველი კაცის განათლება დიდგორიდან იწყებაო. ამ ნაძირალა ნაცებმა განათლება მოსპეს იმიტომ, რომ განათლებული კაცი ძალიან ძნელი სამართავია. ჩვენი განათლებულობა, რწმენა არ აწყობს არც ამერიკას, არც ევროპას. ქართველებმა თავად უნდა მივხედოთ საკუთარ თავს. ნურავის ეგონება: თუკი, ჩვენ, სამშობლოს მოგვისპობენ, ასე ბედნიერები ვიქნებით.

— ბატონო ელიზბარ, საუბრისას თქვით: შევარდნაძემ პატიაშვილზე შური იძიაო. ვერც ის აიტანა: გამსახურდია ამჯობინა ქართველმა ხალხმა ჩემს თავსო. ანუ, ქართველები სძულდა?

— ეს გახლდათ ადამიანი, რომელიც ოღონდ თვითონ გამდიდრებული, ხელშეუხებელი ყოფილიყო და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. შევარდნაძე ყველას ვინც უპირისპირდებოდა, სპობდა. მე, რამდენიმე წერილი რომ დავუწერე, მაშინ უნივერსიტეტში ვასწავლიდი და დარეკა: ჯაველიძე გააგდეთო და ასეც მოიქცნენ. პირველი ვინც უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, ეს მე ვიყავი. მერე, დამსდევდნენ, სად არ ვიმალებოდი, სახლში ვერ მივდიოდი, სამალავ ადგილებს ვიცვლიდი, დაჭერას მიპირებდნენ. იძულებული გავხდი გერმანიაში გადავსახლებულიყავი. მაგრამ იქ, ვერ გავჩერდი და ჩამოვედი. შევარდნაძე არჩევნებსაც წარმატებით აყალბებდა, რაშიც მას აკადემიკოსები ნიკურაძე, ლომიძე და სხვები ხელს უწყობდნენ.

აქვე, ერთსაც გეტყვით: შევარდნაძეს დაფინანსება რომ მიეღო, საქართველო განვითარებად ქვეყნად გამოაცხადა. იცით, რას ნიშნავს განვითარებადი ქვეყანა?! — როცა ფრანგი ელჩი გეუბნება: რად გინდა ექიმის პროფესიას რომ დაეუფლო, ფერშლობაც გეყოფა. ექიმი თუ დაგჭირდება, წახვალ საფრანგეთში და იქ, იმკურნალებო. საქართველოს განათლების მოსპობა დაიწყეს. უბედურება იცით რა არის? — დღემდე, პროკურატურაში, სასამართლოში თუ განათლების სფეროში ისევ ეს ნაცები, მიშისტები, მიხუინები ბობოქრობენ. ეს არის ქართველი ხალხის უბედურება. მე არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ელემენტარული აზროვნების უნარი აქვს და მიხეილ სააკაშვილს მხსნელად, ბელადად გაიხდის. ერთი წიგნი არ აქვს წაკითხული და ახლა, ლამის ეროვნულ მოღვაწედ გამოაცხადონ. რეალურად, სააკაშვილი რჩება საქართველოს მომსპობად, მტრად. ეს მემკვიდრეობა შევარდნაძემ დაგვიტოვა. მიშა ისეთივე ჯალათია, როგორიც შევარდნაძე იყო და კიდევ უარესიც. მათი სატანური სული ქართველ ხალხს სპობს და ანადგურებს. ახლა, ყველაზე უფრო საშიშ ვითარებაში ვართ. რუსეთ-უკრაინის ომსაც ვგულისხმობ. მოგვიწოდებენ, მეორე ფრონტი გავხსნათ. ჯერ ერთი როდესაც ჩვენ ვიბრძოდით, რამდენჯერ მივმართეთ უკრაინას, ერთხელ მაინც დაგვჭირა მხარი?! პირიქით, ამ კლოუნმა ზელენსკიმ შარვალი ჩაიხადა, პიანინოს მიუჯდა და დაგვცინოდა: შარვალჩახდილი ქართველებიო. უკრაინელ ხალხს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მის ხელისუფლებაში ბევრი ნაძირალაა. ვითომ, ქართველი არაზამია, ქართველობის რომ რცხვენია, მილიარდერი გახდა. უკრაინელი ხალხი კი გაწყვიტეს. რას ერჩიან უკრაინელებს, რატომ გაწყვიტეს ამდენი ბავშვი?! დღეს, გვმართებს ძალიან მშვიდად, წყნარად მოვერიოთ ჩვენს ბეჩავ ყოფას, საკუთარი თავი გადავირჩინოთ და ჩვენი ძმები აფხაზები და ოსებიც დავიბრუნოთ. ჩვენ, ერთი ხალხი ვართ და ერთად უნდა ვიცხოვროთ. იმედია, საქართველო მალე გაერთიანდება. დღეს თუკი სადმე შეიძლება ადამიანმა მშვიდად იგრძნოს თავი, ეს საქართველოა. ხომ ხედავთ, რა ხდება — სად ჩავარდება ბომბი და სად ყუმბარა, არავინ იცის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დენთის კასრზე შესმული მსოფლიო და „ცელქი ბავშვები“ ასანთით ხელში

გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების სპიკერმა ნენსი პელოსმა აზიური ტურნე დაიწყო. აზიის ხუთი ქვეყნის გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, პელოსს სურვილი აქვს, ტაივანსაც ეწვიოს. სწორედ ამის გამო კვლავ გამწვავდა ურთიერთობა აშშ-სა და ჩინეთს შორის...

კოვიდის მიზეზით ხუთი დღე იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი თვითიზოლაციაში. დისტანციურად მუშაობდა, რადგან არ ჩათვალა საჭიროდ, უფლებამოსილება ვიცე-პრეზიდენტისთვის, კამალა ჰარისისთვის გადაეცა. კარანტინიდან დაბრუნებული ხუთშაბათს გამოვიდა ტელევიზიით და მიმართა მოსახლეობას, კარგად ვარო. თუმცა ამერიკელი მიმომხილველების ნაწილის მტკიცებით, ბაიდენი სრულიად არ იყო გამოჯანმრთელებული, რადგან ტელეგამოსვლისას წუთნახევარი თვალები არ

დაუხამხამებია. იმასაც ამბობენ, ბაიდენის ნაცვლად ორეული გამოიყვანესო. უმრავლესობის აზრით, ბაიდენს ტელეგამოსვლის წინ ძლიერმოქმედი წამლები მიაღებინეს. თეთრ სახლში კი ამტკიცებდნენ, რომ ბაიდენი სრულიად ჯანმრთელია.

თვითიზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ ჯო ბაიდენმა მნიშვნელოვანი რაც გააკეთა, ჩინეთის ლიდერთან სი ძინპინთან სატელეფონო საუბრის გამართვა გახლდათ. ორი ქვეყნის მეთაურის დიალოგი თითქმის ორსაათნახევარი გაგრძელდა. ჩინეთი ტრადიციულად მწირ ინფორმაციებს ავრცელებს ქვეყნის მეთაურის შეხვედრებზე. აშშ-ის პრესის მიხედვით, ლიდერებმა ისაუბრეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და, რაც მთავარია, ტაივანთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ბაიდენის თქმით, კუნძულის სტატუს-კვოს შეცვლის წინააღმდეგია, თუმცა აშშ ტაივანს ოფიციალურად ჩინეთის ტერიტორიად აღიარებს 1977 წლიდან მოყოლფებული. სი ძინპინმა ბაიდენს უპასუხა: „... არ შეიძლება ცეცხლთან თამაში. ვინც ცეცხლთან დაიწყებს თამაშს, თავად დაიწვება ცეცხლში“.

კონგრესის სპიკერს ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე სურდა ტაივანში ვიზიტის განხორციელება. ჩინელების პროტესტის გამო თანაგუნდელებმა მაშინ მოახერხეს და გადაათქმევინეს კუნძულზე ჩასვლა. მართალია, რამდენუმე უკვე ყოფილი კანონმდებელი ეწვია ტაივანს, მაგრამ ოფიციალური პირებიდან არავინ ჩასულა. ამჯერადაც პელოსის ვიზიტის სასტიკი წინააღმხეგები არიან ჩინელები. კუნძულის სიახლოვეს დაიწყეს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს ავიაცია და საზღვაო ფლოტი. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ რეგიონში იმყოფება აშშ-ის ატომური ავიამზიდი „რონალდ რეიგანი“ სხვა გემების თანხლებით. წაქეზებულმა ტაივანის ხელისუფლებამაც დაიწყო სამხედრო წვრთნები და, წარმოიდგინეთ, ომისთვის სამზადისიც!

ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად აფასებენ ჩინელები ნენსი პელოსის შესაძლო ვიზიტს ტაივანში. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში ოფიციალურად განაცხადეს: „ჩვენ არ დავთმობთ სუვერენიტეტს!“. გავრცელებული ინფორმაციით, თუ პელოსის თვითმფრინავი ჩინეთის ტერიტორიაზე, ასევე ტაივანის შეთანხმების გარეშე შევა, ისინი მიიღებენ გადამჭრელ ზომებს, სულ მცირე, იძულებით დასვამენ თავიანთ კონტროლირებად აეროდრომზე.

არაერთგვაროვნად აფასებენ აშშ-ში პელოსის ტაივანში შესაძლო ვიზიტს. თავდაცვის სამინისტროდან გააფრთხილეს, რომ „ახლა ტაივანში ჩასვლის დრო არ არის“ და ურჩიეს, გადაიფიქროს. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ მათგან დამოუკიდებლად დაგეგმა სპიკერმა ვიზიტი. ითქვა ისიც, რომ პელოსი თურმე თავისი ვიზიტის გეგმებს არავისთან ათანხმებს.

პოლიტოლოგების შეფასებით, პელოსის აზიური ტურნე მომავალი შუალედური არჩევნების კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა, მაგრამ ტაივანში დაანონსებული ვიზიტი გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. წინასწარ დათქმული ვიზიტი ტაივანში თუ არ შედგება, შუალედურ დამარცხებად ჩაეთვლება დამოკრატიულ პარტიას და თავად ბაიდენსაც. აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციას და დემოკრატებს არაფრით აწყობთ სისუსტის გამოჩენა და დიპლომატიურ „ფრონტზე“ დამარცხება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უწოდეს დაანონსებულ ვიზიტს „სამხედრო ავანტურა“. საბედნიეროდ,

საბრძოლო მოქმედებებზე საქმე ჯერ არ მისულა.

საინტერესოა, რომ თვითიზოლაციიდან გამოსვლიდან სამი დღის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სატელევიზიო გამოსვლით ამცნო ქვეყანას, რომ კვლავ დაუდასტურდა კოვიდი, რის გამოც ისევ დისტანციურად გააგრძელებს მუშაობას. ცნობამ გააოცა მსოფლიოს საზოგადოება. ამერიკელი ჟურნალისტების ნწაილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს სათანადოდ ვერ ან არ უმკურნალეს და ამიტომ გაუმეორდა დაავადება ასე მოკლე დროში. მით უფრო, როდესაც ოთხჯერ აცრილია. ჟურნალისტებს არ ეთანხმებიან ექსპერტ-პოლიტოლოგები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ბაიდენს კოვიდი არ სჭირს, იგი არსებულ პრობლემებს განერიდა. მართლაც, აშშ-ის პრეზიდენტის ავადმყოფობა ჩრდილშია მოქცეული პელოსის ტაივანში მოსალოდნელი ვიზიტისა და ჩინეთის ზღვის რეგიონში შექმნილი ვითარების მიზეზით.

სენსაციური ცნობა გავრცელდა გასულ კვირას აშშ-ში — რამდენიმე ათეულმა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის წევრმა დააანონსა ახალი, ალტერნატიული პოლიტიკური პარტიის შექმნა! მისი წევრები ვარაუდობენ შემოდგომაზე შუალედური არჩევნებში მონაწილეობას. ახალ მოძრაობას სათავეში დემოკრატი ენდრიუ იანგი ჩაუდგა, რომელიც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა. ექსპერტების შეფასებით, ახალი პარტიის შექმნის იდეა აშშ-ში პოლიტიკოსების, განსაკუთრებით ახალგაზრდების დეფიციტმა გამოიწვია. გაუწევს თუ არ ახალი მოძრაობა ორ ძველ, ტრადიციულ პარტიას კონკურენციას, მომავალში გამოჩნდება.

ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილო ადამიანების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება აშშ-ში. ექსპერტები ღიად საუბრობენ არსებულ რეცესიაზე, რასაც დემოკრატები უარყოფენ. „ფოქს ნიუსის“ წამყვანმა ტაკერ კარლსენმა პირდაპირ ეთერში განაცხადა: „..პროდუქტების მწარომებელ უდიდეს ქვეყანაში იზრდება უფასო კვების მთხოვნელთა რაოდენობა. ექსპერტების შეფასებით, შემოდგომაზე მათი რაოდენობა სამჯერ გაიზრდება! ეს მაშინ, როდესაც უკრაინას მილიარდობით დოლარს ვაძლევთ და არ ვიცით, რაში იხარჯება“.

გაუგონარი სამხედრო დანაშაული მოხდა გასულ კვირას დონბასის რეგიონში. დაიბომბა საგამოძიებო იზოლატორი, სადაც რუსეთის მიერ დატყვევებული უკრაინელი სამხედროები იყვნენ განთავსებული. შედეგად, დაიღუპა 53, დაიჭრა 73 ადამიანი. შეტევაში თავდაპირველად კიევი და მოსკოვი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. თუმცა მოგვიანებით, შემთხვევის ადგილის დეტალურად დათვალიერების შემდეგ, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ვიდეო-კადრები, აჩვენეს ჭურვების ნარჩენები. რუსეთის მტკიცებით, უკრაინელებმა გამოიყენეს აშშ-ის მიერ გადაცემული „ჰაიმარსის“ ტიპის საარტილერიო დანადგარები. ფაქტი ვერ უარყვეს აშშ-შიც. თუმცა შეეცადნენ, როგორღაც გაემართლებინათ უკრაინელები.

განსხვავებული აზრი აქვთ რუსებს. მათი თქმით, საგამოძიებო იზოლატორზე შეტევის ბრძანება უშუალოდ ზელენსკიმ და მისმა ადმინისტრაციამ გასცა, რადგან ტყვეებმა გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყეს.

დახმარების ახალი პაკეტის დამტკიცებას აპირებენ აშშ-ში უკრაინისთვის. პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ დაადასტურა, რომ ამჯერად სამხედრო თვითმფრინავების გადაცემასაც განიხილავენ. ამერიკელი ეკონომისტის, გაეროს თანამშრომლის ჯეფრი საკსის განცადებით: „...უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გაღვივებაში აშშ-ა დამნაშავე, ომი უნდა დამთავრდეს. თუ ამ გზით გააგრძელებენ სვლას, უკრაინა საერთოდ გაქრება“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ აპირებენ აღიარონ ადამიანის მესამე სქესი. საერთაშორისო ორგანიზაცია გარედან დაფინანსებისა და ხელშეწყობის, ასევე დაძალების გარეშე ვერ მიიღებდა მსგავს გადაწყვეტილებას. ახლაც უცხოელმა ჟურნალისტებმა ინიციატივა ბილ გეიტსს, ჯორჯ სოროსსა და ფულის სხვა ტომრებს დაუკავშირეს. ასე რომ, ფრთხილად ვიყოთ ქართველები, რადგან ადვილი შესაძლებელია, თავიანთი გავლენების საშუალებით ჩვენც მოგვთხოვონ უმსგავსო საქციელის წაბაძვა.

გია ბურდული
551 71 27 07

მატარებელი - საქართველო-ევროპა

პოლიტიკური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? დედამიწის ზურგზე იყო ერთი სახელმწიფო - გურჯუსტანი. ამ სახელმწიფოს ისეთი კარგი მდებარეობა და ბუნება ჰქონდა, მეზობლები და იმ მეზობლების მეზობლები შურითა სკდებოდნენ. უფრო სამწუხარო ის გახლდათ, რომ გურჯუსტანს შინაური მტრებიც ძალიან ბევრი ჰყავდა და ეს მტრები სულ ჩათლახობაზე ფიქრობდნენ - როგორც კი ჭკვიანი კაცი გამოერეოდათ, ეგრევე ერჩოდნენ, ზოგსა ჰკლავდნენ, ზოგს კიდე სხვათა მიწაზე გააქცუნებდნენ ხოლმე.

გურჯუსტნელებს ძალიან უნდოდათ, რომ ევროპიელები ყოფილიყვნენ, კავკასიელობა უტყდებოდათ. მათი წარმოდგენით, ერთ მშვენიერ დღესაც ძალიან გრძელი მატარებელი ჩამაივლიდა, ვაგზალზე გაჩერდებოდა, ამოიქაქანებდა, ვინც მოასწრებდა, შეახტებოდა და - ჰაეეე... ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუუუუუ, ეგრევე დაიძვრებოდა. საით? რასაკვირველია, პირდაპირ ევროპიისკენ.

გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები, წლები, მატარებელი არა და არ ჩანდა. არადა, შეტყობინება შეტყობინებაზე მოდიოდა, ორთქმავალი გამოსულია, ყველა კარი ღია აქვს, სადაცაა ჩამოდგება, მოემზადეთ, ყოველი შემთხვევისთვის ჩაიბანეთო. გურჯუსტანის მოსახლეობის ნაწილმა ხელი ჩაიქნია, ჩამოდგება არა, ისაო. თუმცა ნაწილს მტკიცედ სჯეროდა, აუცილებლად ჩამოდგება, რას ჰქვია, არ ჩამოდგებაო? ვინც მაგას ფიქრობს, ის ქვეყნის მტერი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის მონაა. აქამდეც ჩამოდგებოდა, მაგრამ გურჯუსტანში ერთი მდიდარი კაცი როა, ის აფერხებს, ორთქმავალს რელსზე ფეხი დაუდო და არ ატარებსო. მართალია, დღემდე არავის უნახავს, რელსზე ფეხი რანაირად დაუდო, რანაირად აფერხებს, მაგრამ გურჯუსტანის მოსახლეობის ნაწილს მაინც სჯერა. სხვათა შორის, ამ სახელმწიფოში იმასაც ამბობენ, ეს მდიდარი კაცი ოლიგარქობს, ჯერ ხო სამება ააშენა, წმინდანად შერაცხვა უნდა, მერე ზღვა მიიტაცა, თავისი სახლისკენ გადაუგდო, იქვე ახლოს დენდროლოგიური პარკიც მოიწყო, რათა ჩვენი წილი სუფთა ჰაერი მიითვისოსო. ერთ დღესაც ევროპარლამენტიდან წერილი გამოაგზავნეს, ეგ ყველაფერი მართალია, სანამ მდიდარი კაცი სადმე არ დაიმალება, მატარებელი ვერ ჩამოდგებაო. შეშფოთდა გურჯუსტანის მოსახლეობის ნაწილი, ზოგი იძახის, 160 ათასი მოქალაქე შეშფოთდაო, ზოგი იძახის - 100 ათასიო, ზოგიც იძახის - 70 ათასიო. სხვათა შორის, ამ სახელმწიფოში თვლა უჭირთ, ვერასოდეს აზუსტებენ, რამდენი ადამიანი გამოდის ამა თუ იმ აქციაზე. დაიზაფრნენ და გადაირივნენ, როგორ თუ არ ჩამოდგება, მა ამიერიდან რანაირად უნდა ვიცხოვროთო? ტელევიზორში ვინმეები გამოიყვანეს და სპეციალურად ატირეს, იქნებ ევროპიელებს შევეცოდოთ, იქნებ გულები აუჩუყდეთ, იქნებ ევროპიელებს შევეცოდოთ, იქნებ გულები აუჩუყდეთ, იქნებ იმედი მაინც მოგვცენო? ისევ მოვიდა დეპეშა ევროპიიდან, ბეჭედდარტყმულ „იმედს“ მოგცემთ, ოღონს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს გაუჩმახებთ და ომსაც გამოუცხადებთ, ანუ მეორე ფრონტს გაუხსნითო. მერე, გავუჩმახებთ და ომიც გამოვუცხადოთო, გაიბრიქა მოსახლეობის ნაწილი და რუსთაველის პროსპექტზე გამოიფინა გასაპროტესტებლად. ერის ერთ-ერთმა ღვაწლმოსილმა ლიდერმა, მიჰაელ მშვილდმოზიდულმა ეგრევე დასჭექა: „პუტიიინ! დავაი, ტანკ ნაზად, ბიჭოოოოვოოო“! ჩვენ დღემდე მტკიცებულებანი არ გაგვაჩნია, მაგრამ ფაქტი გვაქვს, პუტინმა თავის ჟანგიან ტანკებს მართლა „ნაზადი“ უყო და თავისი რეაქტიულებიც უკან წაასხა, ჩვენს მშობლიურ დედულ-მამულში ერთი ბომბიც ვერ ჩამოაგდო. ეგე, შევაშინეთო, დავაფრთხეთო, შეხტნენ და შემოტრიალდნენ სახელოვანი ოპოზიციონრები, ეხლა ოლიგარქის „სასტავს“ გადავაგდებთ, ოლიგარქსაც გავაძევებთ, ტექნიკურ მთავრობასაც ჩამოვაყალიბებთ და ეგ იქნება, ცალი ფეხი ევროპიაში გვედგმება, მატარებელი მალე ჩამოდგებაო.

გადიოდა დრო, გადიოდა ხანი, მარტო ოლიგარქი კი არა, მთავრობაც ჯინაზე იდგა, ერთი არ გადავდგებით და რა ფეხებს მოგვჭამთო? გაავებული ოპოზიციონრები ღმუოდნენ, არ გადადგებით და გურჯუსტანის მომავალი საფრთხეშია, ჩვენ შვილებს მომავალი არ ექნებათ, ისინი რუსეთის მონები იქნებიან, საბჭოთა ადამიანებად გაიზრდებიანო. გურჯუსტანელთა ერთი ნაწილი მტკიცედ იყო დარწმუნებული, თუ ოლიგარქის მთავრობა არ გადადგებოდა, რამდენიმე თვეში რუსეთის ხელმწიფე საბჭოთა კავშირს აღადგენდა. გურჯუსტანელთა ერთი ნაწილი კი არა, ევროპიელთა მნისვნელოვან ნაწილსაც კი სჯეროდა ამნაირი მოსაზრებისა - მაგალითად, ევროპარლამენტარი მარკეტა იმანაუსტრაკი პერიოდულად წამოიყვირებდა ხოლმე, ჩამოაგდეთ, განდევნეთ, გადახვეწეთ, თორემ მატარებელი კატასტროფულად იგვიანებსო... ბოლო-ბოლო, ის მაინც გააკეთეთ, ოლიგარქს რელსიდან ფეხი ააღებინეთო. ევროპარლამენტარ გალერის, ანუ გალილეის თქმით, თუ ოლიგარქი პატრიოტია, გურჯუსტანი აუცილებლად უნდა დატოვოს. მისტერ გალერის გურჯუსტანში გალილეედ იცნობენ, ადრე ცხონებულმა გოდერძი ჩოხელმა მაგაზე მოთხრობაც კი დაწერა. რამდენიმე წლის წინ ეგ კაცი წყალქვეშა ნავზე მსახურობდა და ფაქტობრივად ფსკერზე ცხოვრობდა - ხან რომელი განედის ქვეშ იმყოფებოდა, ხან რომელი გრძედის ქვეშ. ერთხელ შემთხვევით ამოყვინთა და ორი წელიწადი მიუსაჯეს, ბრალდებად წყლის ქვეშ გაკუება წაუყენეს. გამოვიდა თუ არა „სვაბოდაზე“, რეაქტიული რაკეტა მისცეს და უთხრეს, იფრინე, რომელი ქვეყანაც არ მოგეწონება, დაბომბეო, ოღონდ დენთით კი არა, სიტყვითო. ჰოდა, ეხლა მისტერ გალერი გურჯუსტანს ბომბავს. რაც შეეხება ქალბატონ მარკეტას, ეგეც ისვრის თავისებურად ბომბებს - გააჩნია, რამდენი „მასტერკა“ მარიხუანა აქვს მოწეული.

რაც დრო გადის, მდგომარეობა იძაბება, გურჯუსტანში მზეც კი აღარ ანათებს ჩვეულებრივად, დილით ამონათდება, ცოტა ხანს დაცხება, შემდეგ მოიღრუბლება, ჩამოინისლება და წამოვა ჟინჟღლი. დედაქალაქს კიდევ არაუშავს, რეგიონებშია წყალდიდობები და მოდის ზვავები. როგორც ჩვენი პარტნიორი სინოპტიკოსები იტყობინებიან, სანამ ოლიგარქი არ წავა, მანამდე გურჯუსტანის მოსახლეობას არაფერი ეშველება. ჰო, ამინდი რომ გამოკეთდეს და მტარებელიც ჩამოდგეს, თურმე კიდევ ერთი რამეა საჭირო - ყოფილი ხელმწიფე ციხეში რომ გიზით, გამოუშვითო. მთავრობა უარზეა, არა და ვერაო, მაგან ბევრი დანაშაული ჩაიდინაო. პარტნიორები მხრებს იჩეჩავენ, მერე რა, ეგ ხომ ხელმწიფე იყოვო? ამას წინებზე ორი ცალი გყავდათ დაჭერილი, ისინი ხელმწიფეები არ იყვნენ, მოურავებად მუშაობდნენ, მაგრამ ხომ გამოგაშვებინეთო? გამოგვაშვებინეთ და ეგეც მივქარეთო, უპასუხეს მთავრობიდან. ესე იგი, აღარ გვემორჩილებითო? - იკითხეს ევროპიული ქვეყნების წარმომადგენლებმა და თან ჩაიცინეს, ეს როგორო? მთავრობის მეთაურმა ეგრევე მიახალა, ჩემი უფროსი ხალხია, თქვენ ვინ ბრძანდებითო? ვინც ვბრძანდებით, გაგაგებინებთ, გურჯუსტანის ვაგზალზე მატარებელი რომ არ ჩამოდგება, მერე ნახამთო.

ყოფილი ხელმწიფე, რომელიც გურჯუსტანელებმა ვითომ ციხეში ჩასვეს და სინამდვილეში სასჯელს კეთილმოწყობილ კლინიკაში იხდის, თითქმის ყოველდღე იწერება - ცუდად ვარ, მოწყენილობა მკლამს, ჩიტების ჭიკჭიკი მენატრება, კუჭის აშლილობა მაწუხებსო. არ უჯერებენ, ექიმების ერთი წყება იძახის, მაგას არაფერიც არა სჭირს, აფერისტობს, ცოტ-ცოტა დეფექტები აქვს, მაგრამ ეგ ადრინდელია, დედამისი თავში რომ ურტყამდაო. ექიმების მეორე წყება ამტკიცებს, ჩვენი ხელმწიფე გვიკვდება, შეიძლება ამ კვირის ბოლომდე ვეღარ გაატანოსო, ამასობაში 9 თვე გავიდა, მაინც არ მოკვდა. გამოდის, მართლა აფერისტობს, უბრალოდ თავში რამდენიმე ჭანჭიკი აქვს დაშვებული და ეგ არი. ამის თაობაზე გურჯუსტანში ჯერ კიდევ 21-ე საუკუნის დასაწყისში იცოდნენ, შეიძლება ცოტა ადრეც, მე-20 საუკუნის ბოლოსაც.

ამას წინებზე ევროპიიდან გურჯუსტანში ბოლო დეპეშა მოვიდა, თუ დავალებებს შეასრულებთ, მატარებელი ექვს თვეში ჩამოდგებაო. შეიძლება არც ჩამოდგეს, მაგრამ შეიძლება კიდევ ჩამოდგესო. ისევ ატყდა ამბავი, ნეტავ ჩამოდგება თუ არაო? ზოგიერთმა მტკიცედ განაცხადა, სანამ ეს ხელისუფლება იქნება, არ ჩამოდგებაო. ზოგიერთმა ხელი ისევ ჩაიქნია, თუ დეოლიგარქიზაცია, დეპოლარიზაცია, კოლექტივიზაცია და სხვა მრავალი „იზაცია“ არ გვექნა, შანსი არ არიო.

ეხლა სხედან გურჯუსტანის მოქალაქეები და ფიქრობენ, ნეტავ თუ ჩამოდგებაო? არა, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ჩამოდგესო?

ვნახოთ, შეიძლება მართლაც გაუღიმოთ ბედმა... მანამდე კი ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ირანი – ჩვენი მეზობელი

ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ.“ N22-26)

უკვე გვიანი იყო. კომუნისტთა მიერ დარბეული, გაძარცვული, ნაცემი და შეურაცხყოფილი ირანის პროვინციის მოსახლეობა „ჯანგელიელთა“ და კუჩეკ-ხანისადმი სიძულვილით იყო სავსე და ამბობდა: იმის მაგივრად, რომ უწინდებურად ტყეში დარჩენილიყვნენ და ხალხი დავეცავით, უცხოელ დამპყრობლებს - ბოლშევიკებს შეეკვრნენ, ხალხი აძარცვინეს, ახოცინეს, აწამებინეს და როცა მტერმა თავად კუჩეკ-ხანს დაუპირა მოკვლა, ბრძოლა მერე დაუწყესო.

ირანის შაჰმა გილანში მომხდარი ამბები გაიგო და გაიხარა — ჩემი მტრის ლაშქრის ერთი ნახევარი - კომუნისტები, მეორე ნახევარმა — „ჯანგელიელებმა“ ამოხოცეს, თავად კი „ჯანგელიელებმა“ მოსახლეობის მხარდაჭერა დაკარგეს და ახლა ეს მოსახლეობა თვითონ გვეხვეწება, მივიდეთ და ეს ტყის ბანდიტები გავანადგუროთო.

თეირანმა გილანში ირანის კაზაკთა ბრიგადა გააგზავნა. მათი მიახლოებისთანავე „ჯანგელიელთა“ ერთი ნაწილი იარაღით ხელში მათ მხარეზე გადავიდა და შემდეგ ყოფილ თავისიანებს განსაკუთრებული სისატიკით გაუსწორდა — ესენი ბოლშევიკებს ეხმარებოდნენ ჩვენი ოჯახების, სოფლებისა და ქალაქების ძარცვა-აკლებაშიო. „ჯანგელიელთა“ მეორე ნაწილმა, პარტიზანთა რიგებში ახლადგაწევრიანებულმა გლეხის ბიჭებმა, უბრალოდ, მიატოვეს პოზიციები და სახლებში წავიდნენ — სახელგატეხილ და ბოროტმოქმედთა ბელად კუჩეკ-ხანს აღარ ვემსახურებითო. დარჩენილი „ჯანგელიელები“ კი შაჰის ძალებთან შეტაკებაში სასტიკად დამარცხდნენ და ტყეში გაიქცნენ.

მაგრამ ტყე თავშესაფარი აღარ იყო, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა შაჰის მხარეზე გადავიდა და სპარსელ კაზაკებს პარტიზანთა ყველა შესაძლო ბილიკებსა და თავშესაფრებს უჩვენებდა.

„ჯანგელიელები“ განადგურდნენ. შეპყრობილებს შაჰის კაზაკები ადგილზევე გაუსწორდნენ.

თავად მირზა კუჩეკ-ხანის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც სპარსელმა კაზაკებმა „ჯანგელიელთა “ უკანასკნელი რაზმი რკალში მოიმწყვდიეს და ამოხოცეს, მირზა მარტო დარჩა, ფეხდაფეხ მომავალ მდევარს გაურბოდა, მაგრამ ჩქარი სიარული არ შეეძლო, რადგან საკუთარი ზურგით მომაკვდავი მეგობარი, ავსტრიელი ოფიცერი მიჰყავდა, რომელიც „ჯანგელიელთა“ ინსტრუქტორად მუშაობდა.

კუჩეკ-ხანის ცოცხლად შეპყრობა ვერ შეძლეს, იგი სიცივისაგან გარდაიცვალა, თოვლიან ქარბუქში გაიყინა იმის გამო, რომ მახლობელ სოფელში თავის შეფარება ვერ შეძლო, რადგან ბოლშევიკთაგან გამწარებული გლეხები შეიპყრობდნენ და შაჰის კაზაკებს გადასცემდნენ.

კაზაკებმა მირზას თავი მოჰკვეთეს და ეს თავი რეშტის მთავარ მოედანზე ჯოხზე წამოცმული გამოჰკიდეს — ასე მოუვა ყველას, ვინც ირანის შაჰს მტრობას გაუბედავსო.

ეს მოხდა 1921 წელს და ამით დამთავრდა სპარსეთის პროვინცია გილანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მცდელობა.

გილანის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

რუსეთ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულება

ლენინისა და მისი ხელისუფლების სპარსეთთან ურთიერთობის შედეგი გახდა საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის შეთანხმება, რომლითაც საბჭოთა კავშირმა ირანის სახელმწიფოს გადასცა ყველაფერი. მეფის რუსეთის მიერ სპარსეთისათვის მიცემული სესხები და სხვა. მათი გადასახადებისაგან ირანელები გათავისუფლდნენ — რუსეთის სახელმწიფო კონცესიები ირანში, რუსთა მიერ აშენებული და რუსეთის საკუთრებაში მყოფი სარკინიგზო და საავტომობილო გზები ნაგებობებით, ინვენტარითა და მოძრავი შემადგენლობით, რუსთა მიერ აშენებული ენზელის ნავსადგური კასპიის ზღვაზე, მთელი თავისი ქონებითა და სასაქონლო საწყობებით, სატელეგრაფო და სატელეფონო ქსელები, ხაზები და სადგურები მთელი მათი ქონებით, შენობებითა და ინვენტარით, ურნიის ტბაზე, ამ პატარა ზღვაზე რუსთა კუთვნილი ტვირთმზიდავი და მგზავრების გადამყვანი, დიდი მოგების მომტანი თბომავალი გემები და მათთვის აშენებული და ასევე, რუსთა კუთვნილი ნავმისადგომები, საწყობები და მათში მყოფი ქონება, კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულები, რომლებიც მანამდე რუსეთს ეკუთვნოდა. რუსეთის იმპერიის ქვეშემრდომთა, სპარსეთში ჩასახლებული რუსების მთელი კერძო საკუთრება: სახლები, დამხმარე ნაგებობები, ეზოები, ყანები, ბოსტნები, საქონლისა და ფრინველის ფერმები, საქონელი, ფრინველი, საწყობები, მათში მყოფი ქონებით, მაღაზიები და საერთოდ, ყოველგვარი ქონება — სპარსეთში მცხოვრები რუსები ლენინმა ამ შეთანხმებით სპარსელებს პირწმინდად გააძარცვინა და რუსები შიმშილით სასიკვდილოდ გასწირა.

ირანში რუსეთის კუთვნილი სააღრიცხვო და სესხების გამცემი („უჩეტნო-სუდნიი“) ბანკი, მასში მყოფი ყველა ფულადი სახსრებით, ფასეულობებითა და მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით.

რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილი და სპარსეთში ჩასახლებულ რუსთა კუთვნილი ნავთობსარეწები, თევზსარეწები და ბევრი სხვა რამ. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. საერთო ღირებულებით, 100 მლნ. ოქროს რუბლისა, რაც თანამედროვე, 2013 წლის კურსით, დაახლოებით, 100 მლრდ დოლარს შეადგენს.

ლენინმა ირანში შეინარჩუნა მხოლოდ რუსეთის საკონსულო და სავაჭრო წარმომადგენლობების მიწის ნაკვეთები, ნაგებობები და ქონება. მაგრამ ეს დაწესებულებები თითქმის ყველა დაკეტილი იყო, რადგან სპარსეთში მათ საქმე აღარაფერი ჰქონდათ.

ირანის შაჰმა რუსებისაგან მიღებული ქონება და აწყობილი სავაჭრო-საწარმო-სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ობიექტები და ქსელები უმეტესწილად, სპარსელებს დაურიგა და ამით შექმნა სპარსი ბურჟუაზია და ირანის დამოუკიდებელი ეკონომიკა, ხოლო მცირე ნაწილი, რომელიც რთულ ტექნიკურ მოწყობილობებზე იყო აგებული და რომლის მოხმარებაც განათლების დაბალი დონის გამო სპარსელებს არ შეეძლოთ, უცხოელებს: გერმანელებს და ინგლისელებს მიჰყიდა, ანდა იჯარით გადასცა და ხაზინა შეავსო.

რუსების მიერ დატოვებული ჩრდილოეთი ირანის ტერიტორიაზე გერმანელმა და ინგლისელმა კაპტალისტებმა იხუვლეს, რომლებმაც იქ დიდძლი ფული დააბანდეს, უახლესი სამრეწველო და სატრანსპორტო ტექნიკა შეზიდეს და ირანზე თავიანთი საფინანსო-ეკონომიკური კონტროლი დაამყარეს. განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანელთა გავლენა, რუსები კი იძულებულნი გახდენენ, ბოღმა გადაეყლაპათ და ირანზე თავიანთი კონტროლის აღსადგენად უკეთეს დროს დალოდებოდნენ. ამის საპირწონედ, ლენინმა, 1921 წლის საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებაში წინდახედულად შეიტანა რამდენიმე დებულება, რომლებიც მომავალში საბჭოთა იმპერიას ირანის დაპყრობის საშუალებას მისცემდა და მართლაც, 1941 წელს ეს დებულებები იქცა საფუძვლად, რომლის წაყალობითაც, საბჭოთა კავშირის არმიებმა ირანის ჩრდილოეთი ნახევარი დაიპყრეს და ინგლისელებთან ერთად ირანი ხელახლა გაიყვეს.

ამ დებულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მე-6 მუხლი, რომელიც ამბობდა: „იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე ქვეყნები შეეცდებიან შეიარაღებული ძალებით დაიპყრონ ირანი, ანდა, თუკი მესამე ქვეყნები შეეცდებიან, გადააქციონ სპარსეთის ტერიტორია ბაზად რუსეთის ან მისი მოკავშირე ქვეყნების სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად და თუკი სპარსეთის ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან გაფრთხილების შემდეგ ვერ შეძლებს თავისი ძალებით აღკვეთოს ეს საშიშროება, რუსეთის ხელისუფლებას უფლება აქვს, თავისი ჯარები სპარსეთის ტერიტორიაზე შეიყვანოს, რათა თავდაცვისათვის აუცილებელი ზომები მიიღოსო“.

1925-41 წლები – შაჰი რეზა ფეჰლევი

გერმანელთა ინტრიგები და ირანის დაპყრობა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ჯარების მიერ

1925 წელს სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის პოდპოლკოვნიკმა, ირანის სამხედრო მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა და შაჰის შემდეგ ირანში მეორე კაცმა რეზა ფეჰლევიმ ერთგულ კაზაკთა ხელით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. შაჰი დაამხო, ირანის ტახტზე ავიდა, შაჰი გახდა და დააარსა ირანის შაჰთა ახალი, ფეჰლევის დინასტია.

ასე დამთავრდა ირანში ყაჯართა საცოდავი და სამარცხვინო დინასტიის ბატონობა.

შაჰი რეზა ფეჰლევი ირანს 1925-44 წლებში მართავდა. მან მკაცრი სამხედრო ძალით მოუღო ბოლო სპარსეთის დაშლის პროცესს. მსხვილ მემამულეებსა და სპარსელ ბურჟუაზიაზე დაყრდნობით ჩააახშო ყველა ოპოზიციური მოძრაობა. მეზობელი თურქეთის დიდი რეფორმატორისა და დიქტატორის მუსტაფა ქემალ ათათურქის მიბაძვით, პოლიტიკური და სოციალური რეფორმები გაატარა და დაიწყო ეროვნული ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის აღორძინება.

საგარეო პოლიტიკაში რამდენადაც შეეძლო საბჭოთა კავშირისაგან თავი შორს ეჭირა. მერყეობდა, ვისთან შეეკრა კავშირი — ინგლისთან თუ გერმანიასთან და სულ უფრო და უფრო იხრებოდა გერმანიისკენ, რადგან იმედი ჰქონდა, გერმანელები რუსებისაგან დამიცავენო.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, ანუ 1939 წლის 1 სექტემბრისათვის, როცა გერმანელები პოლონეთს შეესივნენ, ირანი ავსებული იყო გერმანელი კომერსანტებითა და ფინანსისტებით, რომელთაც საბანკო საქმეში, მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტის საქმეში დიდი ადგილი დაიკავეს და გერმანელი აგენტებით, რომლებიც სპარსეთის ტერიტორიიდან საბჭოთა კავშირთან დივერსიულ-ტერორისტული ომის საწარმოებლად ტერორისტულ-პარტიზანულ რაზმებს ამზადებდნენ.

ამ რაზმების შესავსებად გერმანელებმა ირანში გადაისროლეს გერმანიაში თავშეფარებული ბოლშევიკთა მტრები: თეთრგვარდიელები, დაშნაკები, მუსავატელები და სხვები. ამ რაზმებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — შუა აზიასა და ამიერკავკასიაში, დივერსიული, ტერორისტული და პარტიზანული ომები უნდა ეწარმოებინათ საბჭოთა ხელისუფალთა, სახელმწიფო ობიექტებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ, მაგრამ მათი მთავარი მიზანი იყო ბაქოსა და გროზნოს ნავთობსარეწების აფეთქება, რადგან მათი მწყობრიდან გამოყვანა რუსულ არმიებს საწვავის გარეშე დატოვებდა და ამას შედეგად რუსეთის ეროვნული კატასტროფა — ფაშისტურ გერმანიასთან ომში დამარცხება მოჰყვებოდა.

გერმანელები რეზა შაჰს არწმუნებდნენ, საბჭოთა კავშირთან ომი დაიწყე და ჩვენ დაგეხმარებითო. იმ შემთხვევისათვის, თუკი რეზა უარს იტყოდა, გერმანელებმა სახელმწიფო გადატრიალებისა და ირანის ტახტზე თავიანთი მარიონეტის დასასმელად დაიწყეს მზადება. შაჰმა ბევრი იყოყმანა და ბოლოს ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დადგა. გერმანელებმა გადაწყვიტეს რეზა შაჰი დავამხოთო და სახელმწიფო გადატრიალების სახელმძღვანელოდ ბერლინიდან ირანში ფაშისტური გერმანიის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი კანარისი არალეგალურად გააგზავნეს.

კანარისმა 1941 წლის 28 აგვისტოს დანიშნა „დღე X“, ანუ ირანში სახელმწიფო გადატრიალების დაწყება.

საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მმართველებმა — სტალინმა და ჩერჩილმა თავიანთი სადაზვერვო სამსახურების საშუალებით გერმანელთა გეგმების შესახებ ყველაფერი გაიგეს და გერმანელებს დაასწრეს.

1941 წლის 25 აგვისტოს საბჭოთა ჯარები ჩრდილოეთიდან ირანში შევიდნენ. ინგლისელთა ჯარები კი სამხრეთიდან და დასავლეთიდან. რის შედეგადაც ირანის ჩრდილოეთი ნახევარი რუსებმა დაიპყრეს, სამხრეთი კი ინგლისელებმა.

მოკავშირეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ირანიდან გერმანელთა „გამოწმენდას“. ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა— გერმანიის, იტალიის, უნგრეთისა და რუმინეთის საელჩოები ირანიდან გააძევეს. გერმანული აგენტურა ციხე-საპყრობილეებში ჩაყარეს, საიდანაც აგენტთა უმრავლესობას ცოცხლად გამოსვლა აღარ ეწერა, ხოლო გერმანელთა შექმნილი დივერსიული, ტერორისტული და პარტიზანული რაზმები და გერმანელთა მიერ გადაბირებული სპარსელები ადგილზევე დახოცეს.

ამ ოპერაციას ნახევარ წელიწადზე ცოტა ნაკლები დრო დასჭირდა და ირანს „მეგობრული“ „შეთანხმება“ შესთავაზეს. შაჰს მასზე ხელმოწერის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა და

რეზა ფეჰლევი

ეს შეთანხმება, ოფიციალურად, 1942 წლის 29 იანვარს შევიდა ძალაში. ხელშეკრულების მიხედვით ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრეს, დაეცვათ ირანი „მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ყოველგვარი აგრესიისაგან“. ამ საქმის შესასრულებლად მიინიჭეს უფლება, ჰყოლოდათ ირანის ტერიტორიაზე იმდენი სახმელეთო, საზღვაო და შეიარაღებული ძალები, რამდენსაც მოისურვებდნენ. მოკავშირეები სპარსეთს მთლიანად აკონტროლებდნენ.

ირანი იმდენად კარგად იყო გაწმენდილი გერმანელი აგენტებისაგან, რომ 1943 წელს საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და ბრიტანეთის მთავრობის მეთაურები: სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი კონფერენციაზე თეირანში შეიკრიბნენ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს მოწყობის საქმე იქ განიხილეს.

ამ დროისათვის სპრსეთში გერმანელ ჯაშუშთა ორი პატარა ნაწილი მაინც იყო დარჩენილი. ერთს მეთაურობდა გერმანიის საგარეო დაზვერვის — აბვერის თანამშრომელი შულცე ხოლტუსი, რომელიც ისპაჰანში წითურწვერიანი მოლა გახლდათ, მეორეს კი ხელმძღვანელობდა გესტაპოელი მაერი, რომელიც თეირანში სომეხთა სასაფლაოს მესაფლავე იყო.

(გაგრძელება იქნება)

3000 წელიწადია ჩვენ, ქართველები, შინ ვართ, ამათი „შინ“ თუ სხვაგან არის, მიბრძანდნენ“

ამას წინათ, ავად გააქტიურებულმა არასამთავრობო თუ არა-ანორმალურმა ასომ (არასამთავრობო ორგანიზაციამ), რომელსაც „სირცხვილია“, „თავლაფდასხმა“ თუ სულაც „თავისმოჭრა“ დაურქმევია სახელად, საპროტესტო აქციაზე ხალხი გაიტყუა ლოზუნგით „შინ ევროპისკენ“ ! დადგა ეს ხალხი რუსთაველის გამზირზე და დაიწყო კივილი: ხელს ნუ გვიშლის ხელისუფლება შინ დაბრუნებაშიო; რას ერჩი, კაცს შინ დაბრუნება უნდა და ხელს უშლი? ამის უფლება ვინ მოგცა, ხელისუფლებაც რომ იყო, მაინც, მათი საცოდაობით გული დამეწვა, მაგრამ ეჭვმა კი გამკრა, ამდენი ჯელი (ჭარმაგიც) რა მიზეზით დარჩნენ გარეთ და შინ დაბრუნება როგორ ვერ შეძლესმეთქი, ან ამდენი ქართულენოვანი ევროპელი როდის გაჩნდა მეთქი საქართველოში? აქამდე რამდენიმე გაქართველებულ ევროპელს ვიცნობდი, რომლებსაც არასოდეს გასჩენიათ შინ, ევროპაში დაბრუნების სურვილი (ჟღენტები, ღლონტები, ტრიპოლსკები, კონდრადსკები, საბოები და კიდევ ერთი-ორი). ეს ამდენი გარეთ დარჩენილი ჯელი საიდან გაჩნდა-მეთქი, შევწუხდი, ავდექი და წავედი გარეთ დარჩენილი ხალხის სანახავად რუსთაველზე. ვნახე და რა ვნახე! რის ევროპელები, რა გარეთ დარჩენილები! ესენი აქაურები არიან, ქართველები, რომელთა უმეტესობამ ისიც არ იცის ევროპა ჩვენგან მარცხნივ არის თუ მარჯვნივ, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ბევრმა ისიც არ იცის ევროპა კონტინენტია თუ საერთო საცხოვრებელი ოთხსართულიანი კორპუსი, აი, ხრუშოვკები რომ ჰქვიათ თბილისში. ბევრი ნაცნობიც შევნიშნე: წვერგლეჯიაშვილები, დროიძეები, ფულავები და მეჯღანუაშვილები. შევძახე: „სირცხვილიას“ კარნახით რომ მოსულხართ აქ და მისივე დირიჟორობით რომ გაჰკივით შინ გვინდა დაბრუნებაო, იცით კი თქვენი „შინ“ ანუ „შინამე“ სად არის-მეთქი? სად არის და ევროპაშიო! შემომძახეს, ამის მეტი რომ არ იცით, თქვე უბედურებო, მართლა სირცხვილი, თავსლაფდასხმა და თავის მოჭრაა-მეთქი, თქვენი „შინამე“ აქ არის - საქართველოში, კერძოდ, ნაბაკევში, ბოსლევში, ეწერაში, კინდღში, ხაშმში, ვაყაში, ხორგაში, დილიკაურში, ოდილაურში, ერკეთში-მეთქი. ახლა ამ ბრიყვებს შევეშვათ და „დიდი სახალხო“ თავყრილობის ორგანიზატორ, უცხოელთა ტრენინგებზე მოშზადებულ „პოლიტიკოსებს“ უნდა ვკითხო: იცით რას ნიშნავს ტერმინი „შინ“.

ამ პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ... ამ ორი ათეული წლის წინ ჩვენმა ტელევიზიამ სენსაციური ფაქტი გაგვიმხილა: ერთი ახალგაზრდა კაცი ახირებულა: გინდა დაიჯერეთ გინდა არაო. მე დედაჩემისა და მამაჩემის შვილი კი არა, აფრიკაში, მდინარე კონგოს ნაპირზე მდებარე სოფელ იკიკუკუში (მგონი ასე ამბობდა?) ვარ დაბადებული, იქ არიან ჩემი მშობლები, და-ძმები, ბიძაშვილები და იქ მინდა დაბრუნებაო? სიზმარშიც სულ იქ ვარ- ჩემიანებთან და აუცილებლად შინ უნდა დავბრუნდეო. შეწუხდა ოჯახი, საშველად ვის აღარ მიმართეს, გაგვაგებინეთ, ეს ბამბასავით თეთრი ფითქინა ბიჭი კონგოელი როგორ იქნებაო, გამოჩნდნენ ისეთი „მეცნიერებიც“, რომლებმაც ვარაუდი გამოთქვეს: რა ვიცით, იქნებ „სულთა გადასახლების“ ლეგენდა მთლად ლეგენდაც არ არისო. აკი ვალოდია ვისოცკის ერთ სიმღერაში ასეთი სტრიქონიც არის: „აი, ის ბუნჩულა კაცი წინა ცხოვრებაში კეთილი ძაღლი იყო“. ასე იყო თუ ისე, ის ახირებული კაციც მოიწვიეს ტელევიზიაში, ალაპარაკეს და დაღონებულმა კაცმა თქვა: ისე მენატრება კონგოს ნაპირზე გაშენებული ჩემი სოფელი, ჩემი ქოხი, დედ-მამა და და-ძმები, რომ ამის გაძლება აღარ შემიძლიაო, აუცილებლად უნდა წავიდე მათთან, ანუ შინო.. მერე ისიც გავიგეთ, რომ იმ საწყალს ფსიქიკური აშლილობა ჰქონია და შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში წაუყვანიათ. არ ვიცი მკურნალობამ უშველა თუ არა, მაგრამ ჩემს მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვას ასეთი პასუხი უნდა გავცე: თუ ვინმეს ჰგონია რომ ქართველები შინ, ევროპაში უნდა დაბრუნდნენ მათ ან ფსიქიკური აშლილობა აქვთ და სასწრაფოდ კლინიკაში მკურნალობა სჭირდებათ, ან საქმე გვაქვს სრულიად ბანალურ „ჩათლახობასთან“. დიდი ეჭვი მაქვს, რომ სწორედ მეორე ვარიანტთან გვაქვს საქმე, რადგან არ მგონია, ევროპულ თუ ამერიკულ აკერმანებთან ტრენინგგავლილმა „პოლიტიკოსებმა“„თავსლაფდასხმულთა“ თუ „სირცხვილნაჭამთა“ ორგანიზაციიდან იყვნენ თუნდაც, არ იცოდნენ რას ნიშნავს „შინ“ და „გარეთ“. ახლა მათ მიერ მოტყუებულ ბრიყვებს ვეუბნები: თქვენ ბრიყვები კი ხართ, მაგრამ იმასაც ვერ ხვდებით, რომ მტრებმა ჩაგაგონეს: „შინ“, ევროპაში უნდა დაგაბრუნოთო; თქვენი მამა-პაპა, პაპის პაპა და მისი პაპის პაპაც ღვანკითსა და ეწერაში რომ ცხოვრობდნენ, შინ არ იყვნენ განა? შინ თუ არა, მაშ გარეთ ყოფილა ამდენი ხალხი? თუ თავი ქართველებად მიგაჩნიათ, ქართველებს სამიათასი წელია აქვთ სახელმწიფო და თქვენ ამდენ ხანს გარეთ იყავით და ახლა ბრუნდებით შინ? ასეთი რამ ოდესმე უთქვამს თქვენს მამა-პაპას? ანდერძი დაუტოვებიათ თქვენთვის. „შინ დაბრუნდითო“? როგორც ებრაელებმა დაუბარეს თავიანთ შთამომავლობას ოცდაექვსი საუკუნის წინ! დაუბარეს და შთამომავლებმაც შეასრულა ანდერძი თქვენ ვის ანდერძს ასრულებთ? კარლ მიშელისას, თუ კელი დეგნანისას, ძალიან მეეჭვება, რომ ასეთი ანდერძი ან სალომე ზურაბიშვილისათვის დაებარებინოს მის რომელიმე წინაპარს. ჰო და, რა მოუხერხოთ ამდენ „გარეთ დარჩენილს“, რომლებიც დრო და დრო ცენტრალურ პროსპექტს კეტავენ ბღავილით: „შინ გვინდა ევროპაშიო“. მთავრობას მინდა მივმართო: ბატონები, ზემოდ ნახსენები არანორმალური კაცისა არ იყოს, რომელსაც ეჩვენებოდა, რომ კონგოს ნაპირზე იყო დაბადებული და თავის „მშობლიურ“ აფრიკულ სოფელში წაბრძანება სურდა, ახლა თუ ამდენ ადამიანს ჰგონია, რომ მისი „შინ“ ევროპაშია, იმ ერთი კაცივით ყველას ხომ არ გამოვკეტავთ „ფსიხუშკაში“, მით უფრო, რომ დღეს გაქანებული დემოკრატია და ნეოლიბერალური დიქტატურაა, ამიტომ, გავუშვათ ეს ხალხი ევროპაში ანუ შინ და ესენიც დაისვენებენ და ჩვენც, თუ რა თქმა უნდა, ევროპელები თავისიანად ჩათვლიან ამ, „გარეთ“ დარჩენილ ტვინნაღრძობ არსებებს. ერთ რჩევასაც მივცემ ხელისუფლებას: ამ გარეთ დარჩენილებს რომ გავამგზავრებთ „შინ“. აუცილებლად გააყოლეთ ე.წ. სახალხო დამსმენი (უჰ, ბოდიში!), „დამცველი“ ნინო ლომჯარია და ასევე ე.წ, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რა იცით რაში დასჭირდებათ შინდაბრუნების მომლოდინეებს: ეს ორი ე.წ. ქალბატონი ხომ კარგად იცნობს იქაურ „ბლატნოი ბიჭებს“ კუბილისიუებსა და შარლ მიშელებს. რა ამის პასუხია და ვერ გავიგე „მიშელი ‘’ ამ შარლის მეორე სახელია თუ გვარი? ერთი ცნობილი რაგბისტი ჰყავდათ ფრანგებს და მიშელი ერქვა სახელად, ამიტომ ვიკითხე ამ შარლისათვის „მიშელი“ სახელია თუ გვარი-მეთქი, თუმცა ამის მეტი პრობლემა არ მოგვცა ღმერთმა.

რატომ უნდა გვიკვირდეს, ღვანკეთელი თუ ერკეთელი ჯელის ახირება „შინ მინდა ევროპაშიო“, როცა ნახევარ მსოფლიოში აღარავის უკვირს კაცი რომ გაიძახის ქალი ვარო და გათხოვება მინდაო, ამაში ვინმემ ეჭვი თუ შეიტანა, ლიბერასტული კანონების მიხედვით შეიძლება „გასროკონ“ კიდეც. ამიტომ, მალე გაუშვით „შინ“ ეს გარეთ დარჩენილი ქართველები და დაგვასვენონ.

შინ მყოფი
ქართველების სახელით
ზურაბ ცუცქირიძე
555 56 75 37

ივანიშვილი მხოლოდ „ქართული ოცნება“ არ არის, ის გახლავთ ერთადერთი ეროვნული მასშტაბის ლიდერი

„ქართული დასის“ ხელმძღვანელი ჯონდი ბაღათურია:

„ივანიშვილი მხოლოდ „ქართული ოცნება“ არ არის, ის გახლავთ ერთადერთი ეროვნული მასშტაბის ლიდერი, ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ფავორიტი. ვინმეს მოსწონს თუ არა, ეს ასეა. მათ შორის მისი მხარდამჭერების 70 თუ 80 %, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შეიძლება არ ეთანხმებოდნენ ყველაფერში ივანიშვილს, მაგალითად, კოჰაბიტაციაში და ა.შ. მაგრამ ივანიშვილი მათთვისაც არის ლიდერი. კიდევ გავიმეორებ: ის გახლავთ ერთადერთი ეროვნული მასშტაბის ლიდერი, რომელსაც მოსახლეობის ფართო მასა უჭერს მხარს და ენდობა და ნებისმიერი შანტაჟი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ისედაც, მაგრამ ახლა უკვე ცხადი გახდა, გამოჟონა ინფორმაციამ, საიდანაც ჩანს, რომ ყველაზე მაგრად იყოჩაღა ივანიშვილმა.

დეგნანის საქციელმაც დაადასტურა, რომ ივანიშვილი არ ყოფილა მთლად ხელწამოსაკრავი კაცი.

ბატონ ბიძინას სერიოზული ზარალი აქვს შვეიცარიის ბანკში და საფრთხე კიდევ ემუქრება. მისი ქონების 70-80% დასავლეთშია. ეს კაცი რისკს წევს. მისთვის რა პრობლემა იქნებოდა, ერთი „პატარა“ ომი გაეჩაღებინა, წასულიყო საქართველოდან და მერე მთელი ცხოვრება კომფორტულად იცხოვრებდა. დამერწმუნეთ, გარანტიებს მიიღებდა და იცხოვრებდა ყოველგვარი თავისტკივილის გარეშე. ვიმეორებ, მის მიმართ კრიტიკული ვარ, მაგრამ რაც სიმართლეა, ის უნ-

ეს არის შანტაჟი ქართულ საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე.

ხშირად ამბობენ, „ქართული ოცნების“ უკან ბიძინა ივანიშვილი დგას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ არ იდგეს.

ჩვენს თვალწინაა მოღალატეების არნახული ფეიერვერკი, კენჭი რომ ისროლო, საქართველოს მოღალატეს დაეცემა თავზე, პოლიტიკას ვგულისხმობ და არა საზოგადოებას, რა თქმა უნდა.

პირადად მე, ივანიშვილისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება მქონდა, იცის ეს ყველამ, მაგრამ ახლა, როცა მას იმის გამო აშანტაჟებენ, რათა იძულებული გახადონ ომი დაიწყოს, ეს უკვე სერიოზული საფრთხეა სახელმწიფოსთვის. ეს პროცესები თვეების წინ დაიწყო, შვეიცარიის ბანკმაც იმიტომ გაუკეთა ივანიშვილს, რაც გაუკეთა, „კბილი მოუსინჯა“, მაგრამ ეს საკითხები უკვე მეც მეხება და ჩემს პირად ღირსებაზე ვიღებ ამას. ახლა ერმა ბიძინა ივანიშვილი უნდა დაიცვას, თავისი ხელისუფლება უნდა დაიცვას.

ივანიშვილმა გააკეთა ის, რომ დღეს სახელმწიფო არ არის ჩართული ომში.

ის რომ თავის ფულს გადაფოფრებოდა, დღეს ომი იქნებოდა საქართველოში.

ჩვენ ყველაფერს ვხვდებოდით და ვთქვათ, უნდა გვქონდეს იმის ვაჟკაცობა, რომ ის არის ღირსი მხარდაჭერის და სოლიდარობის და თუ არ იქნება ჩვენნაირების მხარდაჭერა, „ქართული ოცნება“ დამარცხდება და „ქართული ოცნების“ დამარცხება არის ქვეყნის ჩათრევა დიდ პროვოკაციაში.

მე ბევრი რამ გამოვიარე, რაც კი აქამდე მომხდარა საქართველოში ყველაფერი ფსკერამდე ვიცი.

ახლა ჩვენ ერთი მხარე ვართ. საქმეები მერე გავარჩიოთ, როცა საფრთხეს გვერდს ავუვლით. როგორც გითხარით, ახლა ძალიან დიდია რისკებია გადატრიალების და დამერწმუნეთ, ყველა მიხედავს თავის თავს, ჩვენისთანებს კი ქუჩებში დახვრეტენ.

დღეს რასაც ხელისუფლების ცენტრი აკეთებს, იგივე კობახიძე, ღარიბაშვილი, რაც გააკეთა ივანიშვილმა, ამის არდანახვა და არდაფასება არა მხოლოდ პოლიტიკური შეცდომაა, არამედ არც მორალურად არის სწორი და არც პრაგმატული თვალსაზრისით, ანტისახელმწიფოებრივიც არის ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულება, ამიტომ დღეს ერთ მუშტად შეკვრა და კონსოლიდაცია გვმართებს“.

ფრაგმენტები ინტერვიუდან

დინაჰის დღიურების საიდუმლოებანი

წარმოშობით შვეიცარელი გერმანელი პოლ დინაჰი გასული საუკუნის დასაწყისში დაავადდა იშვიათი ლეთარგიული ენცეფალიტით, რომლის ეპიდემია მეოცე საუკუნის ოციან წლებში გავრცელდა მთელ მსოფლიოში. კომაში მყოფი პოლი დააწვინეს ჰოსპიტალში, გონზე მოსვლის შემდეგ, მან თქვა, რომ ფხიზლად იყო მთელი წელი სხვა ადამიანის სხეულში, რომელიც ცხოვრობდა მესამე ათასწლეულის ბოლოს. ერთი წლის შემდეგ, ექიმის დაჟინებული რჩევით ის გაემგზავრა სხვა ქვეყანაში კერძოდ ათენში. ის სტუნდენტებს გერმანულ ენას ასწავლიდა. თავიდან პოლი ცდილობდა საიდუმლოდ შეენახა მიღებული ინფორმაცია, თუმც ამის გამო ფიცი არ დაუდევს მომავლის ადამიანებთან. თავად ხვდებოდა, რომ მისავე ინტერესებში შედიოდა ჩუმად ყოფილიყო და

არაფერი გაეხმაურებინა. მას ეშინოდა, რომ დასცინებდნენ და გიჟად შერაცხავდნენ თუ თავის ისტორიას სხვებს გაუზიარებდა. ახალ სხეულში ყოფნისას ის შეხვდა ბევრ ადამიანს მომავლიდან, რომლებმაც აუხსნეს ყველაფერი რაც დედამიწაზე მოხდა წინა წლებში. მას აცნობეს ახალი სახეობის ადამიანზე, რომელიც ადამიანის ევოლუციის შემდეგი საფეხური გახდებოდა. როგორც ირკვევა, ლეთარგიულ ძილში მყოფი პოლ დინაჰის სული გადავიდა სამიათას ცხრაას ექვს წელს მცხოვრები ვინმე ანდრეას ნორტემის სხეულში, რაც არ ჰგავს გათამაშებულ ამბავს. საქმე იმაში გახლავთ, რომ 2016 წელს დინაჰის ათას გვერდიან დღიურზე მუშაობა დაიწყო ბერძენ და ასევე სხვა ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფმა. 1924 წელს დინაჰმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მას პირადი ნივთების ჩალაგებაში თავის საუკეთესო, საყვარელი სტუდენტი გეორგიუს პაპაჰაცისი ეხმარებოდა. სტუდენტის გადმოცემით მან,შეამჩნია, რომ ხელმაწერები ცალკე იდო და მის ბარგში ჩადებას დინაჰი არ ჩქარობდა. მან წასვლისას კიდევ შეახსენა პედაგოგს ხელნაწერების შესახებ, დინაჰი დაფიქრდა და უთხრა, რომ შეეძლო გადაეყარა, მაგრამ ცოდნის გასაღრმავებლად უკეთესი იქნებოდა გერმანულად დაწერილი ტექსტი ბერძნულად ეთარგმნა. სავარაუდოდ, პოლი გზაში გარდაიცვალა ტუბერკულოზით. იმ დროიდან დაიწყო დღიურის თავგადასავლები. გეორგიუს პაპაჰაცისმა თორმეტჯერ იმგზავრა შვეიცარიაში დღიურის ავტორის მოსაძებნად (1952-1966წწ), მაგრამ ვერც მასწავლებლის და ვერც მისი ნათესავების კვალს ვერსად მიაგნო. პაპაჰაცისმა გადაწყვიტა რამდენიმე ადამიანი ჩაერთო ხელნაწერი დღიურის თარგმნაში. თარგმნას მან თოთხმეტი წელი მოანდომა. თავიდან ის ფიქრობდა, რომ კითხულობდა უცნაურ რომანს, მაგრამ რამდენიმე ხანში მიხვდა, რომ ეს იყო პოლის მოგონებები, რომელსაც კაცობრიობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და გადაწყვიტა გაეზიარებინა ის თავისი კოლეგებისთვის. როგორც ირკვევა, მან დიდი შეცდომა დაუშვა. ნაწერები მიითვისეს და უარი განაცხადეს საკუთარი წრის გარდა სხვებისთვის მის გაზიარებაზე. საბერძნეთში გამოქვეყნდა რომანი "ვარდების ველი", რომელიც წარმოადგენდა პაპაჰაცისის მოთხრობების კომპილაციას მასწავლებელზე და ნორტემის აღიარებაზე დაყრდნობით.

ახლა მხოლოდ ვარაუდი შეიძლება ვინ და რატომ ამოიღო გაყიდვიდან ამ რომანის მთელი ტირაჟი და შემდეგ გაანადგურა. ამავე დროს, პაპაჰაცისმა გააგრძელა საიდუმლო ხელნაწერის თარგმანზე მუშაობა. სამწუხაროა, რომ დროში მოგზაურის დღიურის დედანი უკვალოდ გაქრა. მთარგმნელის მტკიცებით, 1944 წლის შობის წინ, მის სახლში შევიდნენ საბერძნეთის არმიის ჯარისკაცები და ამოიღეს საეჭვო დოკუმენტი გერმანულ ენაზე იმ პირობით, რომ დააბრუნებდნენ შემოწმების შემდეგ, მაგრამ ეს დაპირება არ შესრულებულა. პაპაჰაცისს მიაჩნდა, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონებოდა შესაძლებლობა გასცნობოდა ამ დაუჯერებელ აღიარებებს და გადაწყვიტა გამოექვეყნებინა ნაშრომი. იმ დროისთვის მან დაასრულა დინაჰ-ნორტემის დღიურის თარგმნა, რომელიც საბოლოოდ დაიბეჭდა 1979 წელს, მაგრამ ამ ტირაჟმაც მთლიანად გაიზიარა "ვარდების ველის" ბედი. ეს ტირაჟი მთლიანად შეისყიდეს ისე, რომ მან ვერ მიაღწია მაღაზიის დახლამდე. მხოლოდ 2015 წლის ბოლოს ვიღაც ანასტასის რადამანტისმა წარუდგინა ერთი ეგზემპლარი საბერძნეთის სამეცნიერო საზოგადოებას. პოლ ამადეუს დინაჰის წინასწარმეტყველებებიდან ვგებულობთ კაცობრიობის მომავალს: 2016-2018 წლებში მსოფლიო აღმოჩნდება ომის ზღვარზე, მაგრამ საბედნიეროდ თავს დააღწევს ამ უბედურებას. 2020-22 წლებში პანდემია გაჩნდება ახალი საბანკო სისტემა. 2002 წელს,მსოფლიო ომის ცეცხლში გაეხვევა. 2025 წელს დედამიწის ბუნებრივი რესურსები იქნება გადანაწილებული. ფაქტობრივად მათზე კერძო საკუთრება გაუქმდება. ეს მისცემს დედამიწის მოსახლეობას კეთილდღეობის გარანტიას. 2030 წელს გაჩნდება ადამიანებს შორის ახალი კომუნიკაციის საშუალება. კაცობრიობა ისწავლის სულიერი ენერგიის მართვას. ადამიანი გახდება ტელეპატი და შეძლებს გააზროვნოს და მიიღოს შეტყობინებები აზრის ძალით. ბავშვების სიკვდილიანობა ნულოვან ნიშნულს მიუახლოვდება.2050 წელს აღმოჩნდება ახალი ენერგია—'სივრცითი ენერგია". ამასთან დაკავშირებით შეწყდება ბუნებრივი წიაღისეულის გამოყენება. ამას გარდა, პოლ დინაჰი ახსენებს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში აღმოაჩენენ ახალ დნმ-ს. დაიწყება მიწისქვეშა ხელოვნური ქალაქების მშენებლობა, რომელიც გადაწყვეტს დედამიწის ჭარბი მოსახლეობის პრობლემას. ასევე მოხდება შიდა მიწისქვეშა მზისა და ატმოსფეროს აღმოჩენა. დედამიწას ეყოლება ერთიანი მსოფლიო მთავრობა, რაც მოხდება მომავალი თაობების დროს. ჩანაწერების მიხედვით, ეს მთავრობა იქნება შემდგარი მეცნიერებისა და ინტელექტუალებისგან, ვინაიდან ოცდამესამე საუკუნეში "პოლიტიკა" როგორც ასეთი, საერთოდ გაქრება. არსებობს თუ არა არგუმენტები, რომ გეორგიუს პაპაჰაცისი არ იყო შარლატანი და მისტიფიკატორი? პაპაჰაცისი კარგად ცნობილი პიროვნებაა საბერძნეთში. ის გახლდათ უნივერსიტეტის პოლიტიკური განათლების "პანთეონი" დეკანი, რომელიც შეიქმნა ათენში 1927 წელს, ფილოსოფიისა და კულტუროლოგიის საპატიო დოქტორი საკუთარი მასწავლებლის დღიურის პოპულარიზაციის ცდისთვის სერიოზულ დევნას განიცდიდა-სამეცნიერო საქმიანობის აკრძალვისა და საეკლესიო ანათემის მუქარას. მიუხედავად ყველაფრისა, მეცნიერი მაინც განაგრძობდა თავის საქმიანობას. მაგრამ დინაჰის ხელნაწერის თარგმნის დროს დღიურს საკუთარ კომენტარებს ურთავდა. ამიტომ წინასწარმეტყველებები გადახლართულია მის კომენტარებთან. საჭიროა წინასწარმეტყველების მისი კომენტარებისგან განცალკევება, რომელიც უფრო პოეტური აზროვნებით გამოირჩევა. თავად წინასწარმეტყველებები იმსახურებს ცოდნის სხვადასხვა სფეროს თანამედროვე სპეციალისტთა ფრთხილ მუშაობას-ფუტურულოგიით დაწყებული კვანტური ფიზიკით დამთავრებული. მეოცე საუკუნის დასაწყისის შვეიცარელი მასწავლებელი აღიარებს თავის დღიურებში, რომ ვერ შეძლო ბოლომდე გაეგო ანდრეს ნორტემის ტერმინოლოგია-შორეული მომავლის მეცნიერისა, რომელმაც ცოდნა გადასცა მას. ამიტომ პოლი თავისი ცოდნისა და გაგების შესაბამისად წერდა. ცნობილი ასტროფიზიკოს ჰუბერტ რივზის აზრით, დინაჰის მიერ აღწერილ ნორტემში განსხეულება მალავს უდიდეს სამეცნიერო მონაცემებს, რომელიც უცნობი იყო 1920 წელს და აღიარებულია ფაქტებით მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნეში. დღიურში აღწერილია მოვლენები მესამე ათასწლეულის ბოლომდე, მაგრამ გამოქვეყნებულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. გაუგებარია რა მიზეზითაა ინფორმაციის დანარჩენი ნაწილი დაფარული. დღეს დინაჰის დღიურებზე მუშაობენ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, ფუტუროლოგიიდან დაწყებული კვანტური ფიზიკით დამთავრებული, რომლებიც ცდილობენ ამოიცნონ „დინაჰის მემუარების საიდუმლოებები“. რა იმალება ტერმინების „ეთეროდინამიკა“, „სივრცითი ენერგია“, „სულიერი ენერგია“, „მიწისქვეშა მზე“, „მიწისქვეშა ატმოსფერო“ და მრავალი სხვა. ექსპერტები ეძებენ უმცირეს მინიშნებებს, რომლებიც დაეხმარება ამ პოეტური გამოსახულებების ფორმულების სამეცნიერო ტერმინებად თარგმნაში.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69

– მაინტერესებს ფულადი სოციალური დახმარების თემა. გთხოვთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ვრცლად მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

– ძალიან ხშირად შემოდის ამ თემაზე შეკითხვები რედაქციაში. ბევრს შეკითხვას უკვე ვუპასუხეთ, რასაკვირველია, გაზეთის ფორმატის ფარგლებში.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ მოგაწოდებთ:

თუ საჭიროებს თქვენი ოჯახი სოციალურ დახმარებას, შეგიძლიათ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეავსოთ დადგენილი ფორმის განაცხადი და დარეგისტრირდეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, განაცხადის შევსება შესაძლებელია ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე (სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს).

განაცხადის შესავსებად დაგჭირდებათ:

• ოჯახის სრულწლოვანი წევრ(ებ)ის პირადობის/ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის შემთხვევაში, დაბადების მოწმობა სადაც მითითებულია პირადი ნომერი;

• მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განცხადება შეაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის.

განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეივსება „ოჯახის დეკლარაცია", ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

რა შემთხვევაში ინიშნება ფულადი სოციალური დახმარება?

მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:

• ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

• ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

• ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

• ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

• ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზე ნაკლებია:

120 001-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახი, ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე მიიღებს 150 ლარის ოდენობის შემწეობას.

2021 წლის 1 ივლისამდე 100 001-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახი, ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე იღებდა 50 ლარის ოდენობის შემწეობას, რაც რიგ მუნიციპალიტეტებში_გაიცემოდა ფულის სახით, ანუ თანხა ირიცხებოდა ოჯახის საბანკო ბარათზე და შესაძლებელი იყო სრულად განაღდება.

მუნიციპალიტეტების ნაწილში კი 16 წლამდე ასაკის წევრისთვის განკუთვნილი 50-ლარიანი შემწეობიდან, 20 ლარი ირიცხებოდა ოჯახის საბანკო ბარათზე (თანხის განაღდების უფლებით), ხოლო დარჩენილი 30 ლარი „ბავშვის კვების ბარათზე" (ბარათიდან თანხის განაღდების უფლების გარეშე).

„ბავშვის კვების ბარათით" შესაძლებელი იყო მხოლოდ სურსათის შეძენა და დაუშვებელი იყო ალკოჰოლური სასმელისა და თამბაქოს ყიდვა. „ბავშვის კვების ბარათს" (ისევე როგორც ოჯახის საბანკო ბარათს) გასცემდა სს - „ლიბერთი ბანკი" ოჯახის იმ სრულწლოვან პირზე, რომელიც განსაზღვრული იყო საარსებო შემწეობის თანხის მიმღებად.

2021 წლის 1 ივლისიდან გაუქმდა „ბავშვის კვების ბარათები" და აღნიშნულ ბარათებზე არსებული ნაშთი გადატანილია საარსებო შემწეობის მიმღებთა ბარათებზე.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის მომდევნო მეორე თვიდან.

ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

• სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

• იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

• ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

• ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

• სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

• სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი.

• პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული თანხის მისაღებად, მიმართეთ სს "ლიბერთი ბანკს", სადაც ანგარიშის გახსნისა და პლასტიკური ბარათის დამზადების შემდეგ, ყოველთვიურად ჩაგერიცხებათ კუთვნილი ფულადი დახმარება.

ფულადი დახმარების მისაღებად სს "ლიბერთი ბანკში" ანგარიშის გახსნა უფასოა.

ოჯახს არ აქვს უფლება, საარსებო შემწეობასთან ერთად, მიიღოს დევნილის ყოველთვიური შემწეობა.

ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზები შეიძლება იყოს:

• ოჯახის განცხადება;

• ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;

• თუ, ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ „საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულას;

• ოჯახის წევრის 16 წლის ასაკის შესრულება ისეთ ოჯახში, რომლის სარეიტინგო ქულა მეტია 65 001 და ნაკლებია 120 001.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა და/ან განმეორებითი რეგისტრაციის მოთხოვნის აკრძალვა გამოიყენება სააგენტოსათვის ყალბი ან არასწორი მონაცემების მიწოდების ან/და ოჯახის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, დემოგრაფიული ან/და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის თაობაზე, სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება და სხვა) შეუსრულებლობის შემთხვევაში.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა"-ში რეგისტრაციის განაცხადის შევსება და სააგენტოში ჩაბარება ადასტურებს, რომ ოჯახი თანახმაა:

• მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით დღე - ღამის განსაზღვრულ პერიოდში (დილის 8:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე) დაუბრკოლებლად შეუშვას სააგენტოს უფლებამოსილი პირი თავის საცხოვრებელ ბინაში, მისცეს მას საშუალება სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი თუ საერთო სარგებლობის სათავსები, შეამოწმოს ყოფითი პირობები;

• ობიექტური პასუხები გასცეს უფლებამოსილი პირის შეკითხვებს და არ დაამახინჯოს ფაქტები, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს გამოკითხვის შედეგად შევსებულ დოკუმენტს, განსხვავებული აზრის არსებობისას დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები;

• სააგენტომ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს, რაც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას;

• ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, დემოგრაფიული (ოჯახის წევრთა რაოდენობის გაზრდა ან შემცირება) ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს ამ ცვლილებიდან ერთი თვის ვადაში;

• მიეცეთ მოპოვებული ინფორმაცია სხვა სოციალური დახმარების დამნიშვნელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რაც მიმართული იქნება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

• სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო;

ამ წესის მიზნებისთვის განსაზღვრული, ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი ამ წესით გათვალისწინებული პირობებით დარეგისტრირდეს „სამუშაოს მაძიებლად" შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე - **www.worknet.gov.ge;**

ოჯახს უფლება აქვს გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა, მოითხოვოს ამონაწერი მონაცემთა ბაზიდან, ასევე, ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

* * *

– ჩემს მეგობარს დაეღუპა მეუღლე, რომლისგანაც ჰყავს ორი შვილი. დედამთილ-მამამთილი პრეტენზიას აცხადებენ შვილის ქონების ნაწილზე. რამდენად სამართლიანია ეს?

პრეტენზია სამართლიანია. დაგიკონკრეტებთ:

– თუ გარდაცვლილს დარჩნენ შვილები, მეუღლე და მშობლები- ანუ 1-ლი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, მისი სამკვიდრო გაიყოფა ამ მემკვიდრეებს შორის თანაბარწილად.

* * *

– ითვლება თუ არა დაუბადებელი ბავშვი მემკვიდრედ?

– დიახ, ითვლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

მზვერავი წყვილის 65-წლიანი სიყვარულის ამბავი და „თეირანი-43“

მათ სამი ქორწილი გადაიხადეს სამ ქვეყანაში, სამჯერ წარმოთქვეს ერთგულების ფიცი და სამივეჯერ ერთნაირად გულწრფელები იყვნენ... გოარ და გევორქ ვართანიანების სახელები შეტანილია საბჭოთა დაზვერვის ისტორიაში, ხოლო მათი მონაწილეობა ოპერაციაში „გრძელი ნახტომი“ ფილმ „თეირანი-43“-ს დაედო საფუძვლად. გევორქ და გოარ ვართანიანებს ყველაფერი თანაზიარი ჰქონდათ: სიყვარულიც, სინაზეც და სხვადასხვა ქვეყნებში არალეგალური მუშაობაც...

„მსუბუქი კავალერია“

ისინი ირანში შემთხვევით არ აღმოჩენილან. გევორქ ვართანიანი ირანში 6 წლის ასაკში როსტოვიდან ჩავიდა. 1930 წელი იდგა. ბიჭუნას მამა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საზღვარგარეთის განყოფილების სპეცაგენტი იყო. ირანში მან საკუთარი საკონდიტრო ფაბრიკა გახსნა, რომლის პროდუქციაზეც დიდი მოთხოვნილება იყო. წარმატებული მეწარმე სტატუსის წყალობით საჭირო ნაცნობებს იძენდა და საგანგებო დავალებებს ასრულებდა. 16 წლის რომ გახდა, ბიჭუნამ მზვერავობა მოინდომა. ახლა ის და მამამისი ერთ გუნდში იყვნენ (გევორქის მამა ირანში 23-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში).

გოარ ფახლევანიანიც (ქალიშვილობის გვარი) ირანში ექვსი წლის ასაკში მოხვდა. მისი მამა ძველი გვარის წარმომადგენელი იყო და რეპრესიებისგან თავის დაღწევის მიზნით ირანში გადავიდა ოჯახთან ერთად. თეირანში გოარი (ფსევდონიმი „ანიტა“) და მისი ძმა ანტიფაშისტთა რიგებში შევიდნენ და მალე გევორქთან ერთ გუნდში აღმოჩნდნენ, რომელიც სწორედ იმხანად იწყებდა მოღვაწეობას.

გევორქის (პოლიტიკური ფსევდონიმი „ამირი“) პირველი დავალება მისი თანატოლებისგან ჯგუფის შექმნა იყო, რომლებსაც დახმარება უნდა გაეწიათ თავიანთი უფროსი კოლეგა-მზვერავებისთვის. გუნდმა სახელად „მსუბუქი კავალერია“ მიიღო, რადგან მისი წევრები ველოსიპედებით გადაადგილდებოდნენ. გუნდის შემადგენლობაში შვიდი წევრი იყო, მათ შორის გოარის ძმა ოგანესი, გევორქის უახლოესი მეგობარი და დამხმარე. სწორედ მათ სახლში გაიცნო 1942 წელს გევორქმა თავისი მეგობრის შავთვალ-წარბა მზეთუნახავი და.

პირველი სიყვარული

გოგონამ გევორქის ყურადღება მაშინვე მიიპყრო, მაგრამ ვაჟი ამას ვერ ამჟღავნებდა. გოარი გუნდის წევრი გახდა და მაშინვე დაიმსახურა მეგობრების პატივისცემა. მას ნათელი გონება ჰქონდა და ძალიან დაკვირვებული იყო — ეს ორი თვისება მზვერავისთვის შეუცვლელია. გევორქის გული გოარმა ცხოვრებაზე, მოვალეობასა და ღირსებაზე, წესიერებასა და მეგობრობაზე თავისი შეხედულებებით დაიპყრო.

ახალგაზრდები მაშინ დაახლოვდნენ, როცა გევორქი ირანულ ციხეში მოხვდა. ის და მისი მეგობარი ეჭვქვეშ აღმოჩნდნენ ირანელი ტერორისტის მკვლელობის გამო. გევორქი სამი თვე იჯდა ციხეში. ამ ხნის განმავლობაში გოარი იყო მასა და ჯგუფს შორის მეკავშირე.

როცა ოპერაციის მონაწილეები უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს, გევორქის გათავისუფლებაც შეძლეს. საქმეში მამამისის გავლენიანი ნაცნობები და სომხური თემი ჩაერიენ. რადგან მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ გქონდათ, ახალგაზრდა ციხიდან გამოუშვეს. სწორედ იმ მძიმე პერიოდში ჩაისახა ახალგაზრდებს შორის პირველი გრძნობა, რომელსაც დიდხანს მალავდნენ.

წელიწადნახევრის განმავლობაში ჯგუფის წევრებმა 400-მდე ფაშისტი აგენტი გამოავლინეს.

1942 წელს დიდმა ბრიტანეთმა ირანში დაზვერვის სკოლა გახსნა. გევორქმა მოახერხა იქ შეღწევა და მათი გამოვლენა, ვის საბჭოთა კავშირში შემოგზავნასაც გეგმავდნენ.

სამი ქორწილი...

ამირის ჯგუფის მონაწილეობაზე სტალინზე, რუზველტსა და ჩერჩილზე თავდასხმის თავიდან აცილებაში ბევრი ითქვა და დაიწერა. ეს მოვლენები საფუძვლად დაედო ფილმს „თეირანი-43“. „მსუბუქმა კავალერიამ“ შეძლო დაედგინა, სად იყო დივერსანტების „ბუდე“, რის შემდეგაც ისინი სრულიად გაანადგურეს. გევორქს უფრო მეტად შეუყვარდა ნაწნავებიანი გოგონა, რომელიც მთელ ქალაქს ველოსიპედით შემოუვლიდა ხოლმე აბვერის აგენტების ძებნაში.

ომის შემდეგ, როცა უკვე არაფერი უშლიდათ ხელს გრძნობებზე საუბარში, მათ შეხვედრა დაიწყეს. 1946 წელს მათ პირველი ქორწილი გადაიხადეს, ჯვარი კი თეირანის სომხურ ეკლესიაში დაიწერეს, რომლის მღვდელმსახურსაც ჯერ კიდევ ომამდე იცნობდნენ. ოფიციალურად ხელი ექვსი წლის შემდეგ ერევანში მოაწერეს, როცა მათი ირანში სამსახური დასრულდა. ხელმძღვანელობამ ნება დართო მზვერავებს, ერევნის ენათა ინსტიტუტში მიეღოთ უმაღლესი განათლება. ამის შემდეგ მათ კიდევ ორჯერ იქორწინეს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გვარებით.

გოარს და გევორქს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ხოლო საერთო საქმიანობა კიდევ უფრო ამტკიცებდა მათ ურთიერთობას. ისინი მხოლოდ იმას ნაღვლობდნენ, რომ მშობლები ვერ გახდნენ.

ვართანიანები თითოეულ ქვეყანაში ორ-სამ წელიწადს რჩებოდნენ, გევორქ ვართანიანი მონაცემებს კრებდა, გოარი კი მისი უცვლელი თანაშემწე და რადისტი იყო. ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში მზვერავმა წყვილმა ასზე მეტ ქვეყანაში იმუშავა, ზოგან, უბრალოდ, ჩადიოდნენ, ზოგან კი საგანგებო დავალებების შესასრულებლად დიდხანს რჩებოდნენ.

გოარი და გევორქი ლამაზ და ბედნიერ წყვილად დარჩნენ ბოლომდე — მაღალი და წარმოსადეგი გევორქი და მისი ელეგანტური გოარი. მამაკაცი სერიოზული და თავშეკავებული იყო, ქალი კი კისკისა და სხარტი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვების ცხოვრებით ცხოვრობდნენ, საკუთარი თავი არ დაუკარგავთ. საბჭოთა კავშირში მხოლოდ 1986 წელს დაბრუნდნენ, მანამდე მხოლოდ შვებულებით ჩამოდიოდნენ სამშობლოში. გამოცდილებას, რომელიც 45 წლის განმავლობაში დააგროვეს, ახალგაზრდებს გადასცემდნენ.

2012 წელს გარდაიცვალა გევორქ ვართანიანი, გოარმა კიდევ შვიდი წელი იცოცხლა და ყოველთვის უდიდესი სინაზით იგონებდა მეუღლეს და მადლიერი იყო ბედისა, რადგან ბედნიერი იყო საყვარელი მეუღლის გვერდით.

ბევრი რამ, რაც გოარ და გევორქ ვართანიანებმა გააკეთეს, დღესაც გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ ინახება. ხოლო ამბავი, რომლის წყალობითაც ისინი დაახლოვდნენ, ფილმ „თეირანი-43-“-ში გაცხადდა...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99